# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 7 მარტი, 2013 წელი.

№43 (7170)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.




## დამაქცევარი აღმშენებლობას იჩემებს ოდეს... 3

## განა ქვეყანა ედარდებათ!.. 7



## 10 ბუდაპეშტში საქართველოს ჰიმნი აჟღერდა

### ჩიორათა და მისთანათა გასაგონად

# რატომ უფრთხობს ნაციონალებს თეა წულუკიანის დიპლომი ანგელოზებს?

**საქართველოს იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის იურიდიული განათლების საკითხი ზოგიერთისთვის კვლავ რჩება პასუხგაუცემელ კითხვად. აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ ის, მართალია, არის იურისტი, თუმცა, არა სისხლის სამართლის სპეციალობით. ყოფილი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ბატონი მინდია უგრეხელიძე იუსტიციის მინისტრის იურისპრუდენციაში მიღებულ განათლებაზე უემოციოდ ვერ საუბრობს და წულუკიანის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს აბსურდს უწოდებს.**

**— ბატონო მინდია, თქვენთან თეა წულუკიანის განათლებაზე გვისაუბრია ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ის ალასანიას გუნდის აქტიური წევრი იყო. მართალია, ოპონენტები დღესაც ვერ უწუნებენ განათლებას, მაგრამ „ამხელენ“, იურისტი არ არისო...**

— ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში თეა წულუკიანთან თანამშრომლობა იყო ერთი იმ შემთხვევათაგანი, როცა მუშაობა იყო არა მარტო ნაყოფიერი, არამედ სასიამოვნო. ქალბატონმა თეამ შეიტანა უდიდესი წვლილი იმაში, რომ ქართული იურისპრუდენციის სახელი გაეტანა საზღვარგარეთ. შემოკლებით ENA — ეს არის ინსტიტუტი, რომელიც უმაღლესი სასწავლებლის შემდგომ აძლევს განათლებას. მის დამთავრებულებს ხუმრობით ეძახიან ენარქისტებს და ცნობილები არიან თავიანთი ძლიერი განათლებით, მაღალი კვალიფიკაციითა და საქვეყნოდ ფართო გამოყენების არეალით. ამ ინსტიტუტის დამთავრებულები ხდებიან საფრანგეთის პრეზიდენტები თუ სხვადასხვა ქვეყნებში მაღალი თანამდებობის პირები. როგორც ამ ინსტიტუტში ამბობენ, მას იშვიათად ღირსებია ისეთი სტუდენტი, როგორიც არის ქალბატონი თეა.



როდესაც მე სტრასბურგის სასამართოლში ვმუშაობდი, თეა ურთულესი კონკურსის გზით მოხვდა რეფერენტი-იურისტი, ანუ „ქეის-ლოიერის“ თანამდებობაზე. ის არ იყო მარტო ქართველი მოსამართლის თანაშემწე, არამედ ჩვენს კომპეტენციაში შედიოდა ყველა ევროკავშირის ქვეყნის საქმეები და მაშინ ასეთი 41 ქვეყანა იყო. მუშაობისას მან აჩვენა თავისი კვალიფიკაციის ისეთი დონე, რომ ძალიან სწრაფად, 3-4 თვეში აწინაურებდნენ. მახსოვს, ერთხელ მე და თეა დერეფანში მივსეირნობდით, როცა შეგვხვდა ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს თავმჯდომარე, ბატონი ჟან პოლ კოსტა. მასაც ასევე ENA აქვს დამთავრებული, მე ვიხუმრე, ორ „ენარქისტს“ შორის აღმოვჩნდი ეს ქუთაისელი კაცი-მეთქი, მან მიპასუხა, ჩემგან განსხვავებით, თეამ სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრაო. ბედნიერი ვიყავი, რომ თეასთან ერთად ქართული სამსახური დავაყენეთ სასამართლოს რელსებზე.

არ მახსოვს, ოდესმე თეას რაიმე შენიშვნის ან საყვედურის საფუძველი მიეცა ვინმესთვის. მეტიც, მისი ნამუშევარი „ქეის-ლოიერის“ სტატუსით იყო იმდენად აღიარებული, რომ ის ცალკე წიგნადაც კი გამოსცეს. ეს ნამუშევარი თვით რუსეთშიც კი არ ითაკილეს და გამოსცეს, იმდენად საჭირო მასალა იყო.

**— მის განათლებაზე არავინ დავობს, მაგრამ ამბობენ, რომ ის არის იურისტი — ოღონდ ადმინისტრაციული სამართლის ჩარჩოებში და არა სისხლის სამართლისა, რაც პროკურატურასთან დაკავშირებულ სამუშაოს სჭირდება?**

— ეს „ცდომილება“, ჩემი აზრით, იქიდან წარმოდგება, რომ ინსტიტუტის სახელწოდებაში ფრანგულ ვარიანტში ფიგურირებს სიტყვა „ადმინისტრაციონ“. „ეკოლე ნაციონალე დ' ადმინისტრაციონ“ (**Ekole nationale d' administration**) — ესე იგი მმართველობის ეროვნული სკოლა. ადმინისტრაციონ — მმართველობას ნიშნავს, რაც არავითარ კავშირში არ არის ადმინისტრაციულ სამართალთან. ამ უმაღლეს სასწავლებელში არის რამდენიმე მიმართულება, რომელთაგან მთავარია ორი — ეკონომიკისა და სამართლის მიმართულებები. თეას, როგორც ვიცი, კვალიფიკაცია მიღებული აქვს სამართალში (ასე რომ არ იყოს, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში არც დაამტკიცებდნენ სამუშაოდ). სამართალმცოდნეობაში შედის ყველა ის საგანი, რომლის გარეშე მმართველობას ვერ განახორციელებს ვერც ერთი სახელმწიფო ლიდერი.

დაბოლოს, ამ თემის არსებით მხარეზეც მინდა მოგახსენოთ.

არსებითი მხარე ის არის, რომ ქალბატონი თეა ძალიან წარმატებული იყო სისხლის სამართლის საქმეების განხილვაში, სადაც ყველაზე მეტად გამოიჩინა თავი. ის სისხლის სამართლის ისეთ უცნაურ კონსტრუქციებს უვლიდა, რომელიც ადრე არასდროს არავის არ დასიზმრებია. ერთ-ერთი იყო ასანიძის საქმე. როცა მომჩივანი ასანიძე ითხოვდა იმას, რასაც შევარდნაძის ხელისუფლება, არადა, დამნაშავე იყო აჭარის ხელისუფლება. ამის მოვლა ძალიან ძნელი იყო და მან პირველად მართლმსაჯულების ისტორიაში ააგო არაჩვეულებრივი სამართლებრივი კონსტრუქცია, რომლის მიხედვითაც შეიძლება ზოგჯერ შერაცხადობა, ბრალი და პასუხისმგებლობა ერთმანეთს დაშორდეს, მართალია, უცნაურია ლოგიკა, მაგრამ თურმე ასეც ხდება. ამ საქმით ძალიან გაითქვა სახელი და ყველა ამაყობდა იმით, რაც მაშინ თეამ ამ საქმეში ჩაწერა. დამნაშავე იყო აჭარის ხელისუფლება, მაგრამ საქართველოს ცენტრალურ მთავრობას აგებინეს პასუხი.

**ის, რაც ახლა ხდება საქართველოში, ეს არის სრული გაუგებრობა, აბსურდი. მეტსაც გეტყვით, მართლაც რომ არ ჰქონოდა საკმარისი იურიდიული განათლება, მას შემდეგ, რაც მან სტრასბურგის სასამართლოში 9-წლიანი მუშაობისას გააოცა ხალხი თავისი ცოდნით, მხოლოდ ის გამოდგებოდა. ბოლოს და ბოლოს, თვითონ ის სასამართლო შეიძლება ჩაითვალოს უზარმაზარ სკოლად.**

ასე რომ, ფორმალობების ძიება არაფერს გვარგებს. დიპლომში ხომ წერია სამართალმცოდნე. ეს იმას ნიშნავს, რომ მან არა მარტო ადმინისტრაციული სამართალი იცის, არამედ იცის სამართალი მთელი სისავსით. ეს არის არა ადმინისტრაციული სამართლის ინსტიტუტი, არამედ ეს არის მმართველობის უმაღლესი სკოლა, რაც იმას ნიშნავს, რომ შეიძლება მისმა კურსდამთავრებულმა სახელმწიფო ჩაიბაროს, პრეზიდენტი გახდეს, ისე რომ, იურიდიული განათლებაც ჰქონდეს.

**თეა მოსია**

## ბიძინა ივანიშვილი:

# კოტე კუბლაშვილთან შეხვედრაზე სიტყვა იმპიჩმენტი არც წამოგვცდენია

**სასამართლო უნდა იყოს დამოუკიდებელი, როგორც ახალი, ისე ძველი გუნდისგან, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან კოტე კუბლაშვილთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა.**

**მისივე თქმით, საუბარი სასამართლოს რეფორმირების აუცილებლობასაც შეეხო. ბიძინა ივანიშვილმა კოტე კუბლაშვილთან შეხვედრას საინტერესო უწოდა და აღნიშნა, რომ ერთმანეთი დღეს გაიცნეს.**

რაშიც მას მონაწილეობა აქვს მიღებული, გასაგებია, რომ არსებობს კითხვები“, — განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, შეხვედრაზე მხოლოდ პოზიტივზე არ უსაუბრიათ. როგორც პრემიერმა აღნიშნა, კოტე კუბლაშვილიც ეთანხმება იმაში, რომ საზოგადოებაში სასამართლოს მიმართ სკეპტიციზმი არსებობს.

„არსებობს კითხვები წარსულისადმი, მაგრამ ძალიან ბევრი გაკეთდა სასამართლოში ამ დროის



„საზოგადოებამ უნდა ირწმუნოს, რომ სასამართლო არის სამართლიანი. ვისაუბრეთ იმაზეც, რომ რეფორმა აუცილებელია, ამისთვის ბატონი კოტე მზად არის. მიუხედავად იმისა, რომ ცვლილებები ინიცირებულია იუსტიციის სამინისტროს და ახალი გუნდის მიერ, ამ რეფორმების 80%-ს ეთანხმება, მაგრამ აქვს კითხვებიც. უფრო კონკრეტულად სასამართლო რეფორმაზე საუბრისას ვერ ვიქნები პროფესიონალი. კარგად ვიცი ბატონი კოტეს ბიოგრაფია, წარსული და ვფიქრობ, მას აქვს საშუალება, ღირსეულად დაასრულოს თავმჯდომარეობის ვადა და მაქსიმალურად დამოუკიდებელი და ობიექტური სასამართლო დარჩეს საქართველოში. იმ პროცესებზე, განმავლობაში და მას აქვს შეტანილი წვლილი ამ პოზიტივში. რაც მთავარია, ძირითად პრინციპებში ვთანხმდებით. ვერ შევთანხმდით იმაში, რამდენად ბევრია კითხვები დღევანდელი სასამართლოსადმი. შეიძლება, მე მგონია, რომ უფრო მეტია კითხვები, ვიდრე — ბატონ კოტეს ძირითად პრინციპებზე — იმაზე, რომ სასამართლო უნდა გახდეს მაქსიმალურად დამოუკიდებელი, ვთანხმდებით. მე მას გარანტია მივეცი და შემიძლია გავიმეორო, რომ არ არსებობს ჩემი გუნდის მხრიდან ვინმემ გაბედოს და ჰქონდეს მცდელობა იმისა, რომ სასამართლოზე ზეგავლენა მოახდინოს ან სასამართლო პროცესებში ჩაერიოს. ამაში დავარწმუნე ბატონი კოტე“, — განაცხადა ივანიშვილმა.

## კოტე კუბლაშვილი:

# ბიძინა ივანიშვილთან სასამართლოს გაძლიერებაზე ვისაუბრე

**„ვისაუბრეთ ყველა იმ მიმართულებაზე, რაც ხელს შეუწყობს სასამართლო სისტემის კიდევ უფრო გაძლიერებას. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ხელისუფლებისგან არის გადმოდგმული ნაბიჯი იმისკენ, რომ სასამართლოს მიმართ იყვნენ სწორედ ისეთი, როგორიც უნდა იყოს ნებისმიერი ხელისუფლება.** გადაწყვეტილებების ობიექტური შემფასებელი უნდა იყოს და ობიექტურად უყურებდეს სასამართლოს საქმიანობას არა მხოლოდ ხელისუფლება, არამედ ოპოზიციაც, რათა სასამართლო იყოს პირველ რიგში თავისუფალი კორუფციისგან, თავისუფალი ნებისმიერი პოლიტიკოსისგან, რომელიც არის ამ ქვეყანაში. მათ თავიანთი მოსაზრებები აქვთ, მაგრამ სასამართლოს დამოუკიდებლობას ეს ყველაფერი არ უნდა შეეხოს“, — განმარტა კუბლაშვილმა.

**ინტერპრესი**

**ნეტავი ნატვრა მანატრა...**

# მე რომ შენი ნიჭი მომცა!

## პროლოგი ჯერაც დაუწერელი რომანისთვის – „კაცი, რომელიც ცრუობს“

**ვიქტორს შევნატრი ამ სათაურით, ჰიუგოს, ცნობილ მწერალს, რომანის — „კაცი, რომელიც იცინის“ ავტორს.**

**ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს კი ფოფოდიაო, იმისი არ იყოს, ზოგი ვის შენატრის და ზოგიც — ვის.**

**მურმან ლებანიძე, მაგალითად, მიხეილ მესხს შენატროდა — მე რომ შენი ფილტვი მქონდეს, მე რომ შენი ჯანი მომცაო...**

მე კი ჰიუგოს ნიჭი მიხეილ სააკაშვილმა მანატრებინა — საოცარმა არსებამ, რომლის ხასიათის ქაღალდზე სრულად გადმოტანა-გახსნა ჰიუგოსეული ოსტატობით რომ შემეძლოს, ისეთ ტიპს დავხატავდი, თვით კომპრაჩიკოსთა მიერ საგანგებოდ სახედამახინჯებულ გუინპლენზე ბევრად მეტად დასამახსოვრებელი ტიპაჟი იქნებოდა. რომანს კი ასე „მოვნათლავდი“ — „კაცი, რომელიც ცრუობს“.

**არ ვიცი, ვინ, რამ თუ რომელმა თანამედროვე კომპრაჩიკოსმა, რბილად რომ ვთქვათ, დაუზიანა მას — კაცს, რომელიც ცრუობს, — ტვინის ის უჯრედი, ადამიანს ტყუილის თქმის, მით უფრო, გამუდმებული ცრუპენტელობა-ტრაბახის საშუალებას რომ არ აძლევს, უკიდურეს შემთხვევაში, რომელიმე დიდი ტყუილის დახეთქებისას, გაწითლების უნარს მაინც არ წაართმევს, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ იგი, — კაცი, რომელიც ცრუობს, — უტეხად გვიცქერის და თვალსა და ხელს შუა გვაბოლებს.**

ამის დასტურად მარტო ბოლოდროინდელ ორიოდ მაგალითს მოვიყვან.

თუმცა, მანამდე, მკითხველთან ბოდიშის მოხდით, ერთი ძველი ანეკდოტი მინდა გავიხსენო:

**ახალდაქვრივებული მარო საყვარელთან საწოლში „ერთ ამბავშია“. შემთხვევით კედელზე გარდაცვლილი მეუღლის სურათს ჰკიდებს თვალს.**

**— შენ კი მოგიკვდი, მიხო! — შენ რომ გიყვარდა ეს საქმე, იმიტომ ვშვები, თორემ განა ამის თავი მაქვს ახლაო! — დაამუნათებს გარდაცვლილის სულს.**

ლამის ასევე გვაყვედრის თავის ამჟამინდელ მდგომარეობას პრეზიდენტობის ვადაგასული სააკაშვილი, როდესაც ჟურნალისტებს ეუბნება — **„ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს ამ თანამდებობაზე დღევანდელი ვითარებითო, რომ ვთქვა, ეს სიცრუე იქნება და ამას არ გაკადრებთ. ერთადერთი მიზეზი, რატომაც ვრჩები თანამდებობაზე, ეს არის — დემოკრატიული სივრცე შევინარჩუნოთ ქვეყანაში“.**

ანუო, თქვენ გამო ვიწვალებ თავსო, თორემ რა მრჯისო!

**ნუ გებრალებით, გუინპლენისგან განსხვავებულო და უვარგისი პროდუქტივით ვადაგასულო, მოიხსენით უფლებამოსილება და თუ თავს მართლა არაკომფორტულად გრძნობთ, გადადგომით თქვენც დაისვენეთ და ჩვენც დაგვასვენეთ!**

ახლა — მის ბოლოდროინდელ ორიოდ „მარგალიტზე“, რადგან ადრინდელთაგან „ნამცვრევთა“ ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანს.

**„...ტელევიზორი ვისაც ჰქონდა და ყურები და თვალები ვისაც ნამდვილად აქვს, დაინახავდა, როგორი რიტორიკა იყო და როგორი შეგვხვდნენ. მეტი რა ვქნათ“.**

**მეტი რა უნდა ქნათ, და:**

ტელევიზორიც გვაქვს, თვალებიც და ყურებიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ნანახ-მოსმენილის განსჯა-შეფასებაც შეგვიძლია.

**ამიტომ გეუბნებით, რომ მეგობარ აზერბაიჯანში ვიზიტის შემდეგ ისეთი რაღაც არ უნდა დაგეხეთქებინათ, რომ იქაური პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სპეციალური განცხადება გაეკეთებინა იმ ნაბჟუტურევის რამდენადმე გასანეიტრალებლად მაინც.**

თქვენი აზრით, იგი ამას პრეზიდენტ ილჰამ ალიევის უნებართვოდ გააკეთებდა?

ცხადია, არა!

აქედან დასკვნა: უნდა ქნათ ის, რაც ადრეც ბევრჯერ მირჩევია თქვენთვის — **ვიდრე რამეს იტყოდეთ, სათქმელი კარგად უნდა აწონ-დაწონოთ, ხშირად კი ენას კბილი დააჭიროთ, ის კბილი, რომელსაც, სხვათა შორის, ოდენ საჭმლის დაქუცმაცება-ღეჭვის ფუნქცია არ აკისრია!**

**აი, ამით გიპასუხებთ თქვენსავ კითხვაზე, მეტი რა ვქნათო!**

ახლა ის მორიგი ტყუილიც შეგახსენოთ, ამჟამინდელი მთავრობის განქიქების სურვილით ატაცებულმა ტელევიზიით რომ დაახეთქეთ, — **ქართულ ბანკებს რუსული ბანკები ყიდულობენ, ეს სრული ჭეშმარიტებაა, ეროვნული ბანკიდან მაქვს ეს ინფორმაციაო?**

ხომ უარყვეს ბანკებმა (მათ შორის — ეროვნულმაც!) ეს ინფორმაცია, ხომ მოგიწიათ ამის გამო ბოდიშების მოხდა!

მაგრამ რა, იხტიბარი ბოლომდე მაინც არ გაიტეხეთ კაცმა, რომელიც ცრუობს: **ყოველნაირად ვეცდები, რომ საქართველოს საბანკო სექტორი მართლა არ ჩაუვარდეს ხელში ერთი ქვეყნის სახელმწიფო ბანკებს, იმ ქვეყნისა, რომელსაც საქართველოს მიმართ სრულიად არაჯანსაღი ინტერესი აქვსო.**

ალბათ, სწორედ ამაზეა ნათქვამი, ჩემი შენ გითხარიო:

**თქვენ არ ჩაუგდეთ ხელში „საქართველოს მიმართ სრულიად არაჯანსაღი ინტერესების“ მქონე „იმ ერთ ქვეყანას“ ჩვენი ლამის მთელი სიმდიდრე?**




**სწორედ თქვენ არ გსურდათ თავის დროზე, აგვისტოს ომამდე, „იმ ერთი ქვეყნისთვის“ თუნდაც მაგისტრალური გაზსადენის მიყიდვა და მიჰყიდდით კიდეც, ამერიკის ადმინისტრაციას რომ არ აეკრძალა ეს „სდელკა?“.**

**თქვენ არ ჩაუგდეთ აგვისტოს ომის შემდეგ „იმ ერთ ქვეყანას“ ხელში ენგურჰესი იმ გასაიდუმლოებული ხელშეკრულებით, რომლის შინაარსიც არავინ არ იცოდა?**

ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და არც ღირს, რადგან...

**ეჰ, მე რომ მართლაც მომცა შენი ნიჭი, ვიქტორ!..**

**აუჰ, რა რომანს დავწერდი და რაოდენ სწორუპოვარ ტიპაჟს დავხატავდი, გუინპლენისგან აბსოლუტურად განსხვავებულს, უფრო მიუნჰაუზენს მიმსგავსებულს...**

**მართლაც კარგი წასაკითხავი რომანი იქნებოდა „კაცი, რომელიც ცრუობს“...**

**რუსლან რუსია**

**არის წინადადება!**

# გადავაქციოთ ქუთაისი ამიერკავკასიის კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების ცენტრად!

## საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ბიძინა ივანიშვილს, პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით უსუფაშვილს

ქ. ქუთაისში პარლამენტის ფუნქციონირების საკითხი სერიოზული განხილვის საგანი არ უნდა იყოს ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანისათვის, ცხადია, თუ ქვეყნის ინტერესებიდან გამოვალთ და მისი დღევანდელი მდგომარეობის რეალობას გავითვალისწინებთ. არც პოლიტიკური და არც სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით პარლამენტის ქუთაისში ყოფნას არავითარი გამართლება არ აქვს. ქუთაისში პარლამენტის ფუნქციონირება ხომ უზარმაზარ დაბრკოლებას შექმნის როგორც თვით პარლამენტის, ასევე მთავრობის ოპერატიულ მუშაობაში, რომ არაფერი ვთქვათ იმის შესახებ, თუ რამდენი უხერხულობა იქმნება პარლამენტარების უმრავლესობის, პარლამენტის თანამშრომლების და მათი ოჯახების ცხოვრებაში. ქ. ქუთაისის განვითარების მიზეზით ამის გამართლება ხომ სასაცილოა (და კიდევ უფრო კომიკური მისი დაფიქსირება კონსტიტუციაში). ხომ არ შეიძლება ეს უაზრო აკვიატება რაიმე მსჯელობის საგანი გახდეს? პარლამენტი რაც შეიძლება მალე უნდა იქნეს გადმოყვანილი თბილისში.

ამბობენ, ზოგი ჭირი მარგებელიაო, ამ საკითხზე მსჯელობამ დადებითი ის მოგვცა, რომ ბევრი დაგვაფიქრა ქ. ქუთაისის განვითარების საკითხზე. ქ. ქუთაისი ჩვენი საყვარელი ქალაქია, საკუთარი კოლორიტით და ადამიანური დამოკიდებულების სითბოთი გაჟღენთილი. ამ ფიქრის შედეგად თქვენს განსახილველად შემოგვაქვს შემდეგი წინადადება:

გადავაქციოთ (გადაიქცეს) ქ. ქუთაისი ამიერკავკასიის რესპუბლიკების კულტურის, ხელოვნების და მეცნიერების ცენტრად, სადაც ჩატარდება ამ რესპუბლიკების მასშტაბით ფესტივალები, კონფერენციები, გამოფენა-გაყიდვები, შესაბამისი ბაზრობები, სამეცნიერო მუდმივმოქმედი სკოლები, სადაც მსოფლიოს ცნობილ მეცნიერებს, ხელოვნების და კულტურის დარგის მუშაკებს მიიწვევენ. მონაწილეთა ინტერესს გააძლიერებს ისიც, რომ მათთვის ამ პერიოდში მოეწყობა (შაბათ-კვირას) საინტერესო ექსკურსიები, მღვიმეებში, ხვამლის მთაზე, წყალტუბოში (აბაზანების მისაღებად) და ა.შ.

ცხადია, ამას სჭირდება გარკვეული მუშაობა, უპირველეს ყოვლისა, რეკლამა, რომელიც დედააზრს მიაწოდებს საზოგადოებას, თვით ქუთაისელების მხარდაჭერა, მთავრობასა და პარლამენტში ამ საკითხებზე მსჯელობა, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის რესპუბლიკების მთავრობებთან ამ იდეის განხილვა და მათი მხარდაჭერის მიღება.

გვაქვს ასევე წინადადება ქ. ქუთაისში, ადრე არსებული საავტომობილო ქარხნის ტერიტორიაზე მრეწველობის განვითარების შესახებ, კონკრეტულად, მთავრობის დახმარებით და ინვესტიციების მოზიდვით (შეიძლება აქ მეზობელმა და მეგობარმა რესპუბლიკებმაც მიიღონ მონაწილეობა), შეიქმნას მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების და საბაგირო გზების მოწყობილობათა წარმოება. ვფიქრობთ, ამის გასაღების ბაზარი არა მარტო საქართველო, არამედ სხვა ქვეყნებიც (განსაკუთრებით მთაგორიანი) იქნება. მკითხველს შევახსენებ, რომ საბაგირო გზების მოწყობილობების შექმნის საქმეში საქართველო მოთავე ორგანიზაცია იყო არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით.

ვფიქრობთ, თუ მთავრობა და პარლამენტი დაინტერესდება, ამ წინადადებათა განხორციელება ხელს შეუწყობს ქ. ქუთაისის (და არა მარტო ქუთაისის) განვითარებას.

უღრმესი პატივისცემით,
პროფესორი
**რაფიელ ჩიქოვანი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# დამაქცევარი აღმშენებლობას იჩემებს ოდეს...

## რუსთაველ მეტალურგთა დაგვიანებული პასუხი სს „ქართული ფოლადის" ყოფილ, ეგრეთ წოდებულ, „დირექტორს" ნათია ჯაყელს



**გაზეთ** „ალიასა" და „რეზონანსში" გამოქვეყნებულმა თქვენმა წერილებმა კიდევ ერთხელ გაგვახსენა ის ავადსახსენებელი პერიოდი, რომელიც რუსთავის მეტალურგიული ქარხნის განადგურებას უკავშირდება, თუმცა, „სამართლიანობის" აღდგენისთვის მებრძოლი თუ „უსამართლოდ" დაჩაგრული „დირექტორისთვის" პასუხის გაცემის გადაწყვეტილება მხოლოდ იმიტომ მივიღეთ, რომ მეტალურგთა ფართო საზოგადოებისთვის უცნობი „დირექტორი" თავს უფლებას აძლევს, განცხადებები აკეთოს მეტალურგთა სახელით და ქარხანაში გატარებული მმართველობის მოკლე ვადა კოლექტივის აყვავების პერიოდად წარმოაჩინოს. ამასთანავე, თავს ქარხნის სამართლიან მემკვიდრედ აცხადებს და არაფერს ამბობს იმაზე, თუ როგორ აღმოჩნდნენ ის და მისი თანაგუნდელები საწარმოში. ვიმედოვნებთ, რომ ამის გარკვევა რომელიმე ტელეარხზე უმოკლეს ვადაში დაგეგმილი დებატების დროს დაგვჭირდება.

საწარმოს ირგვლივ ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებში მეტი სიცხადის შეტანის მიზნით მკითხველს განვუმარტავთ, ხოლო ქალბატონ „დირექტორს" შევახსენებთ, რომ ქარხნის ხელიდან ხელში გადასვლის ბურუსით მოცული პროცესი ჯერ არ დამთავრებულა და რუსთაველი მეტალურგები იმედს იტოვებენ, რომ შესაბამისი ორგანოები სწორად შეაფასებენ ამ კარტერულ გარიგებას, რამაც წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების (ბენდუქიძე, დამენია, ნოღაიდელი და მრავალი სხვა) ხელშეწყობით განადგურების პირას მიიყვანა რესპუბლიკაში ერთ დროს ყველაზე ძვირადღირებული საწარმო.

მისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასასრულს დაიწყო, თუმცა, მეტალურგიულ სფეროში გაუთვითცნობიერებელი ე. წ. „ინვესტორების" „ქარხნის კრიზისიდან გამოყვანის" ყველა მცდელობა კრახით დასრულდა.

ქარხნის ხელიდან ხელში გადასვლის გაუთავებელმა პროცესებმა დამანგრეველი გავლენა მოახდინა საწარმოს და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, რომ არაფერი ვთქვათ მისთვის სასიცოცხლო ფუნქციების შენარჩუნებაზე. შევახსენებთ ქალბატონ „დირექტორს", რომ ქარხნის გასხვისებიდან დღემდე ხუთჯერ შეიცვალა მმართველი გუნდი, რამაც არათუ შეაჩერა, არამედ დააჩქარა საწარმოში უკუსვლის პროცესი. ქვეყანაში მომხდარ ე. წ. „ვარდების რევოლუციას" თითქოს სასიკეთოდ უნდა გადაეწყვიტა ქარხნის ბედი, მაგრამ მოხდა პირიქით: წინასწარ განზრახული თაღლითური სქემით ე. წ. ნულოვან აუქციონზე, რომელზედაც შეგნებულად არ დაუშვეს საწარმოს რეალური მყიდველი, უკრაინული კომპანია — „დონბასის ინდუსტრიული კავშირი" (ИСД), რომელიც მზად იყო, საწარმოში 100 მლნ. აშშ დოლარი გადაეხადა, ქარხანა კი გასხვისდა ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ მეტად საეჭვო კომპანიაზე. ამის შემდეგ, მეორე თუ მესამე გადაყიდვის შედეგად, ქარხანა საბოლოოდ აღმოჩნდა აწ გარდაცვილი ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის საკუთრებაში. თითქოს აქ უნდა დამთავრებულიყო ქარხნის ირგვლივ განვითარებული ტრაგიკული მოვლენები, მაგრამ პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ, რასაც თქვენი გუნდის მოსვლა მოჰყვა ქარხანაში, მოვლენები განვითარდა იმ სცენარით, რა სცენარითაც მოხდა ქალაქის სხვა საწარმოთა ჯერ პრივატიზაციის და შემდეგ კი ჯართად ქცევის პროცესი. საზოგადოების ფართო მასებისთვის ნათელი რომ იყოს, **ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ ქალბატონ ნ. ჯაყელის ზემოაღნიშნულ გაზეთებში გამოქვეყნებული განცხადებები არა მხოლოდ მეტალურგთა მოწოდებაა „უთანასწორო" ბრძოლაში თანადგომისთვის, არამედ გარკვეული მესიჯია მეტალურგიული ქარხნის ნგრევის გრძელვადიან პროცესებში ჯერჯერობით ჩაუხედავი და გაურკვეველი ახალი მთავრობის მიმართ, როგორც წინა ხელისუფლების მხრიდან ბიზნესზე ზეწოლის ერთ-ერთი მსხვერპლისა.** ქალბატონ ჯაყელს ვურჩევდით, მეტი დამაჯერებლობისთვის დამატებითი არგუმენტები მოეტანა იმის შესახებ, რომ ერთ დროს წინა ხელისუფლებაში მაღალჩინოსნებთან „ჩახუტებული" ჯოზეფ ქეი (სოსო კაკიაშვილი), რომელიც ქარხნის ფაქტობრივი განმკარგავი იყო, რომლის ოჯახის ახლობელიც ქალბატონი ჯაყელი ბრძანდება, როგორ აღმოჩნდა იმავე ხელისუფლების პირობებში (რბილად რომ ვთქვათ) „მსხვერპლის" მდგომარეობაში. ქალბატონო ნათია, თქვენი ამაყი განცხადება, რომ რთულ პირობებში ქარხნის მენეჯმენტმა შეძლო შეუძლებლის გაკეთება, სიცრუეა და საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრის მცდელობად შეიძლება შეფასდეს.

შეგახსენებთ, რომ თქვენთვის საამაყო დირექტორობის პერიოდში აღიგავა პირისაგან მიწისა მილამდიდავი საამქრო, განადგურდა და ჯართად ჩაბარდა საგლინავი დგანი „100", 1986-88 წლებში სრულად რეკონსტრუირებული სასაქონლო პროდუქციის მწარმოებელი დგანი 900/750, უნიკალური ჟანგბადის საამქრო, თბოელექტროცენტრალი და ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ცნობილი მილების მაღალტემპერატურული თეორმომექანიკური დამუშავების უნიკალური უბანი მილსაგლინავ საამქროში. ყოველივე ამის თანამონაწილე ადამიანს რა მორალური უფლება გაქვთ, ხმამაღალი განცხადებები აკეთოთ პრესის ფურცლებიდან და სურვილი გამოთქვა ქარხანაში დღეს თუ არა ხვალ დაბრუნებაზე? თქვენი ფანტაზიის დონე იქამდეც კი მიდის, რომ მეტალურგებს სამომავლო ერთობლივი წარმატებული მუშაობის შესახებ იმედს აძლევთ. შეგახსენებთ, რომ მეტალურგებს თქვენი გუნდის დაბრუნება კი არ სურთ ქარხანაში, არამედ მათი უპირველესი მიზანია, დაიბრუნონ წართმეული ღირსება და ახალი ხელისუფლების დახმარებით საწარმოში მოიყვანონ ამ სფეროში გამოცდილების მქონე ისეთი მმართველი გუნდი, რომელიც ააღორძინებს არა მხოლოდ ქარხანას, არამედ იმ ფუნქციებს დაუბრუნებს ქ. რუსთავს, რისი გულისთვის ის თავის დროზე აშენდა.

რაც შეეხება 20 წლის შემდეგ სატრაბახო ქართული ფოლადის ჩამოსხმას, ეს ფაქტი მისასალმებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მისი წარმოება თანამედროვე ტექნოლოგიებს დაეფუძნებოდა. XXI საუკუნის ქვეყანაში კუსტარული წესით ფოლადის წარმოება, ისიც უცხოელების მიერ გადაყრილ ინდუქციურ ღუმელში (რაც მძიმე ფიზიკურ შრომასთან არის დაკავშირებული), საქმეში ჩაუხედავი კაცის მიერ ფაქტის კონსტატაციას უფრო ჰგავს, ვიდრე მენეჯმენტის წარმატებულ პროექტს. როცა ქალბატონი „დირექტორი" საწარმოში ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე საუბრობს, ურიგო არ იქნებოდა დაესახელებინა თუნდაც ერთი ფაქტი მილსაგლინავ საამქროში ამ მხრივ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, ან გაკვრით მაინც ეცნობებინა მკითხველისთვის, რა მოწყობილობა-დანადგარები იქნა შეძენილი იმ ათეული მილიონობით დოლარით, რაც ქარხნის ძირითადი საამქროების ჯართად გაყიდვის შედეგად იქნა მიღებული. ალბათ, შემთხვევით გამოგრჩათ ან შეგნებულად არ ისურვეთ საზოგადოებისთვის გეცნობებინათ თქვენი ძირითადი ფუნქციის გატარებული საკადრო პოლიტიკის შესახებ. ქარხნის პერსპექტივაზე მზრუნველ ადამიანს სწორედ აქედან უნდა დაგეწყოთ საუბარი. რატომ მიიღო საწარმოში კადრების დაბერების პროცესმა შეუქცევადი ხასიათი? სორტული გლინვის საამქროში ჩინელი სტუმრის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, რატომ ვერ ხერხდება ფოლადის ჩამოსხმა რადიალურ დანადგარზე? დგან „400"-ის მილნამზადით მომარაგების შემთხვევაში არსებული კადრებით რამდენი დღე შეძლებთ უწყვეტ რეჟიმში მუშაობას? რომელი ქვეყნის პრაქტიკას ეფუძნება კადრებზე „ზომბირების" ისეთი მეთოდის დანერგვა, როგორიცაა: ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე მთავარი ენერგეტიკოსის ხელის გადაგრეხვით საწარმოდან გარეთ გამოგდება, ან სხვა ხელმძღვანელი პირების ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე საშვთა ბიუროში დაკავება და ქარხნიდან უკან გამოძევება?

რადგან ქარხანაში თქვენი მენეჯმენტის პერიოდს წარმატებულად მიიჩნევთ, ალბათ, დადებითად აფასებთ საწარმოში დასაქმების თქვენეულ პროგრამასაც, მართლაც ახლობლების, ნათესავების, ნათესავის დაქალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნილი მაღალჩინოსნების დასაქმებას ქარხნის სამმართველოში და სხვა სტრუქტურებში, თქვენ წარმატებით გაართვით თავი, მაგრამ თქვენ და თქვენმა შეუძლებლობის შემძლე (ეს თქვენი სიტყვებია) გუნდმა ნაკლებად იზრუნეთ ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე. თუ თავის დროზე გაჩერების პირას მყოფი ქარხანა ახერხებდა 3000-მდე თანამშრომლის დასაქმებას, თქვენი მმართველობის პერიოდში 1600 კაცის დასაქმება, მენეჯმენტის სწორ პოლიტიკად ვერ შეფასდება.

ქალაბტონო ნათია!

თქვენი მმართველობის პერიოდში, ქარხნის ძირითადი საამქროების ჯართად ქცევის დამანგრეველ პროცესებში მთლად თქვენი დადანაშაულება, ალბათ, ობიექტური არ იქნება, რადგან მეტალურგთა შეფასებით ეს იმ პოლიტიკის ლოგიკური შედეგი იყო, რაც საერთოდ ქვეყანაში ხდებოდა. სხვაგვარად მოვლენები არც შეიძლებოდა განვითარებულიყო იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სახელისუფლებო სტრუქტურებთან შეზრდილ ბიზნესს სხვანაირად მოქმედების საშუალება უბრალოდ არ რჩებოდა.

და ბოლოს:

ყურად ვღებულობთ თქვენს მოწოდებას საერთო მონაპოვრის გაფრთხილების შესახებ. თავის დროზე მეტალურგები რომ ერთად დამდგარიყვნენ თაობების მიერ შექმნილი დანატოვარის დასაცავად, გადარჩებოდა ქარხანაც და სიღარიბის ზღვარს მიღმა არ დარჩებოდა იმ ათასობით ღვაწლმოსილი მეტალურგის ოჯახი, რომელთა დამსახურებაცაა ამ დარგის არსებობა ქვეყანაში. ამასთანავე, გვაქვს რამდენიმე უმტკივნეულო შეკითხვა, რომელზედაც თქვენი გულწრფელი პასუხი მეტ ნათელს შეიტანს ქარხნის ირგვლივ განვითარებულ დღემდე გაურკვეველ პროცესებში და მეტად წარმოაჩენს თქვენს პიროვნებას.

**1. ვისგან, რა დროს, რა პირობებით შეიძინეთ ქარხანა და რა თანხა გადაიხადეთ მასში?**

**2. იზიარებთ თუ არა პასუხისმგებლობის რაღაც ნაწილს ქარხნის იმ მუშა-მოსამსახურეებისა და დავიწყებული, რეგრესირებული პენსიონერების წინაშე, რომლებმაც საწარმოს საიდუმლო, დღემდე გაურკვეველ ვითარებაში გასხვისების შედეგად დაკარგეს დაახლოებით 5,8 მილიონი ლარი მიუღებელი ხელფასების და პენსიების სახით?**

**3. ვისი მითითებით ან სპეციალისტთა რომელი ჯგუფის რეკომენდაციით დაიჭრა ქარხნის ძირითადი საამქროები და რა ახალი ტექნოლოგიები დაინერგა საწარმოში ამონაგები თანხიდან?**

**4. რომ არა წიდასაყარიდან ამოღებული ჯართისა და ინერტული მასალის რეალიზაცია, შეძლებდა თუ არა ქარხანა არსებობას თქვენი მმართველობის პერიოდში გამოშვებული პროდუქციის ხარჯზე, რომლითაც თავს ასე იწონებთ მკითხველის წინაშე?**

**5. შეიცავს თუ არა დანაშაულის რაღაც ნიშნებს თქვენი მმართველობის დროს მიღებული გადაწყვეტილება მილსაგლინავი საამქროს გაჩერების შესახებ? ან წლის განმავლობაში მისი რამდენიმე დღით დატვირთვა თვალთმაქცობად ხომ არ გეჩვენებათ?**

**6. თქვენმა წერილობითმა მიმართვამ მეტი დამაჯერებლობა რომ ჰპოვოს ფართო საზოგადოებაში, უპრიანი ხომ არ იქნებოდა გამოგექვეყნებინათ ხელფასების თანაფარდობა თქვენი, თქვენი გუნდის წევრებისა და მეფოლადეების, მვალცავების, ხარატების და ა. შ. შორის?**

მეტალურგიული ქარხნის მრავალი მუშა-მოსამსახურისა და ტრავმირებული პენსიონერების დავალებით:

**გივი ჯახუა,**
მწერალი, დამსახურებული ჟურნალისტი, დ. კლდიაშვილისა და მწერალთა კავშირის პრემიების ლაურეატი;

**ომარ მიქაძე,**
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ინჟინერ-მეტალურგი;

**ზოია მაისაშვილი,**
ინსტიტუტ „მეტალურგპროექტის" დირექტორი;

**ვაჟა გიგიბერია,**
პირველი ქართველი მეფოლადე.

**(წერილს, აგრეთვე, ხელს აწერს მეტალურგთა დიდი ჯგუფი).**

**P. S. მეტალურგთა აბსოლუტური უმრავლესობა, ამ დარგის სპეციალისტები — „ვარდების რევოლუციიდან" დღემდე ქარხნისა და ქალაქის გადარჩენისთვის ამაოდ მებრძოლთა გუნდი — მზად ვართ, წარვსდგეთ სამართლისა და საზოგადოების წინაშე ნებისმიერი ფორმატით, დისკუსიაში მოვიწვიოთ ყველა მსურველი, ვინც რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ბედითა და ზოგადად ქვეყანაში ამ დარგის პერსპექტივით არის დაინტერესებული. მეტალურგიული კომბინატი რიგითი საწარმო როდია, მასთანაა დაკავშირებული ინდუსტრიული რუსთავის მომავალი და ქვეყნის ეკონომიკა. ჩვენ მივმართავთ მთავარ პროკურორს, დაინტერესდეს, თუ რა ხდება და რა ძალები მოქმედებენ ამ კოლექტივის წინააღმდეგ.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# უკუსვლით – დაშლისკენ თუ წინ – გაერთიანება-აღმშენებლობისკენ?

## „მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალებს“...

**დავით აღმაშენებლისა და გიორგი ჭყონდიდელის ეპოქა მამულის აღმშენებლობისთვის უნდა გვრაზმავდეს და გვაერთიანებდეს „რათა გაიხაროს ყოველმა ქართველმა“, ამინ! დღევანდელი საქართველო კი დავით აღმაშენებლისა და გიორგი ჭყონდიდელისდროინდელი საქართველოს მხოლოდ ნეგატივია...**

ისინი იბრძოდნენ, აერთიანებდნენ, ამთლიანებდნენ მამულს, იბრუნებდნენ დაკარგულ ტერიტორიებს, პატრიოტიზმის მიმბაძველი ძალის მქონე პირადი მაგალითებით აღაფრთოვანებდნენ და რწმენით შემოიკრებდნენ მოყვასთ.

**ჩვენ ვშლით?!**

ისინი ცოდვებს სახალხოდ ინანიებდნენ.

**ჩვენ მოუნანიებელი ცოდვებით ვცხოვრობთ?!** ისტორიული სინდისის ქენჯნას არ განვიცდით, თაობებს შორის აღმშენებლობის მემკვიდრეობითობის პასუხისმგებლობაზე რომ არაფერი ვთქვათ!

**ვერ ვიდავითეთ, ვერ ვივარგეთ.**

**სამწუხაროდ, უფრო მეტს ვმსჯელობთ თუ გაუთავებლად ვდავობთ, ვიდრე კონკრეტულ გადაწყვეტილებებს ვიღებთ.**

არა იმიტომ, რომ არ შეგვიძლია, არამედ იმიტომ, რომ ვერ ვიცლით, სათანადოდ ვერ ვუღრმავდებით პრობლემას. ხშირად, უბრალოდ, ვერ ვითავისებთ საფრთხეს.

საქართველოში დღესაც ბოლომდე ვერ გაგვიგია, რა აწერინებდა დიდ დავითს სინანულის საგალობლებს, რატომ ითხოვდა ღვთისგან შენდობას.

ჩვენ, „ცოტნეიდელებს“, ე. ი. აღმსარებელთ მცნებისა უფლისა და დამდებელთ სულისა თვისისა საქართველოსა და მოყვასთათვის, გვსურს, მივბაძოთ ცოტნე დადიანს – ეროვნულ, ზნეობრივ, გამაერთიანებელ გმირს და მისი სახე მესია მეფეთ მეფეს, დიდი დავითის სულმნათ სულს შევუწყვილოთ.

დამეთანხმებით, საიმედო მისწრაფება და ნიშანია სიქველისა და სათნოების უკვდავებისა. სასიხარულოა, რომ ეს სულიერი ჯილდო ჯერ კიდევ არ წაშლილა ქართველში. **მისასალმებელია, რომ მართლმადიდებლური საეკლესიო კალენდრით „დიდგორობისა“ და „ცოტნეობის“ საეკლესიო-საერო დღესასწაულები ყოველწლიურად „იმერ-ამერში“ ერთსა და იმავე დღეს – 12 აგვისტოს საზეიმოდ აღინიშნება.**

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სადღეისოდ მაინც ბოლომდე გაურკვეველია, საით იყურება ქართველი კაცის თვალი, სად ხედავს იგი თავის სახალხო გმირებს – წარსულში, აწმყოში თუ მომავალში?

არადა, როგორც ჭეშმარიტად სახალხო პოეტს ლადო ასათიანს უთქვამს ჩვენდა გასაგონად და შესასრულებლად – **„რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი, თუ მამულს თავი არ ანაცვლე? ეს აწვალებდა ცოტნე დადიანს, მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალებს“...**

ეს ფრთიანი გადაძახილი, დამეთანხმებით, მხოლოდ მამულის სიყვარულით შეიძლება ითქვას...

ასეთივე ქრისტესმიერი სიყვარულით, მთელი პასუხისმგებლობით მინდა, განვაცხადო, რომ ინტერნეტისა და ზოგიერთი სეპარატისტული გამოცემის საშუალებით სამეგრელოს სახელმწიფოებრივი, პოლიტიკურ-ეკონომიკური „დამოუკიდებლობის“ აღდგენის აქტის პროპაგანდა საქართველოს მთლიანობის რღვევას ემსახურება და არა მისი ძირძველი მხარეების თვითმყოფადობის, ისტორიისა და კულტურის, ძირძველი ქართველური ენების შენარჩუნება-განვითარებას.

**საქართველოს სამეფოებად თუ ცალკეულ დამოუკიდებელ სამთავროებად დაყოფის სამწუხარო, ისტორიული ტრაგიზმით აღსავსე განვლილი ეპოქა ჩვენი ერის ცხოვრებაში, საბედნიეროდ, შეფასებულია გონიერი მტრის თუ უგუნური მოკეთის მიერ ჩადენილ ღალატად და ერის, დედაეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად.**

**პოლიტიკურ-ეკონომიკური ავანტიურის გამოხატვის ფაქტს და სადღეისოდ მას მიიჩნევს საქართველოს დაშლის (დაქცევის) სუბიექტურ-მტრულ მცდელობად, მაგრამ, საბედნიეროდ, იგი მკვდრად შობილია.**

**საქართველო, მისი ძირძველი მხარეები, მათ შორის, უწინარესად, კოლხეთის მოსახლეობა ამ პროვოკაციის ანკესზე არ წამოეგება და ამდენად, ხალხში მას განვითარების არეალი, დასაყრდენი არა აქვს. ამას ნათლად მიანიშნებდნენ ერის საფიცარი სულმნათი მამების შეგონებები და**



საქართველოს გადარჩენისა და გამთლიანების ხატი

აღნიშნული მცდელობები იყო XIX, XX საუკუნეებში, და, სამწუხაროდ, თავი იჩინა XXI საუკუნეშიც.

**საბედნიეროდ, ბრძენი კოლხი მოსახლეობა არასოდეს აჰყოლია ქვეყნის ამ დამაქცეველ პროვოკაციას. გვჯერა და გვწამს, რომ ასე იქნება ამჯერადაც, რადგან წარსულისკენ უკუსვლა დაშლას ნიშნავს, ხოლო ჩვენი ერთიანობა ქვეყნის აღორძინება აწმყოსა და მომავალშია.**

**ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემია თავისი 2012 წლის 22 თებერვლის გეგმიური საჯარო სესიის გადაწყვეტილებით, რომელსაც აკადემია „აიას“ (პრეზიდენტი – მამანტი ძაძამია), აკადემია „ქალდეას“ (პრეზიდენტი – ვაჟა ეგრისელი), ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიის (პრეზიდენტი – გულნაზ ხარაიშვილი) წევრებიც ესწრებოდნენ და ერთსულოვან პროტესტს შეუერთდნენ, ერთმნიშვნელოვნად გმობს და ემიჯნება ზემოაღნიშნულ**

**გვაფრთხილებდნენ ამ მეტად ფაქიზი და ყოველ დროში ნაღმის საფრთხის შემცველი პირადი პასუხისმგებლობის თაობაზე.**

დიდი ილია ჭავჭავაძე, როდესაც 1885 წელს დეკანოზ მიხეილ მეუნარგიასა და მისი ვაჟის იონას მიწვევით ზუგდიდში ჩაბრძანებულა და სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით ლევანის ძე დადიანის (1813-1853) უმდიდრესი ბიბლიოთეკა ჩაუბარებია (იგი ანდერძით წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადაეცა), სოფელ ცაიშში მოწყობილ ტრაპეზზე განუცხადებია: **„სამეგრელოში მოველ და საქართველო ვნახე – დიდი საქართველო! ბევრი ჭირი უნახავს საქართველოს, მრავალს ქარტეხილს გადაუვლია ზურგზედა მისსა, მაგრამ ყოველთვის ჟამსა რღვევისა და გაწბილებისა: მტერთა მისთა დამთრგუნველი სამეგრელო იყო, იგი იყო ერთსულ და ერთგულ იმ სხეულისა, რომელსაც საქართველო ეწოდება. ასე იყო წინედ, ეგრე არის ახლა, ეგრე დარჩება მომავალშიც“** (ავტორისეული ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში).

საქვეყნოდაა ცნობილი დიდი აკაკი წერეთლის პოზიცია ამ მეტად ფაქიზ და მტკივნეულ თემაზე. საქართველოს ბულბულად შერაცხილი მგოსანი 1899 წელს ბრძანებდა: **„ვისაც ყურნი აქვს სმენად, ისმინეთ: უნდა ვილაპარაკო მეგრელობაზე, რომელიც ამ ბოლო დროს ზოგიერთებს საპირადო იარაღად გაუხდიათ და ლამის მტრობა და შური ჩამოაგდონ ძმათა შორის. უნდა გაგეგონათ დიდებულ ლხინში მეგრელების მჭევრმეტყველება და განმტკიცებული გაწმენდილი ქართული და მაშინ იტყოდით: აი სად ყოფილან ნამდვილი ქართველებიო“. „ჩემიან-შენიანობაზე ხელი უნდა ავიღოთ და საიდანაც უნდა იყოს, ვინც უნდა იყოს, მოყვარეს მოყვრულად მივეგებოთ და მტერს მტრულად დავუხდეთ“. „კარგად უნდა დავიმახსოვროთ მეგრელები ერთსულ-ერთგულ ქართველებია და მეგრულიც ძირითადად ძველი ქართულია“** (აკაკი წერეთელი, რჩეული, გვ. 264-268).

**„კოლხეთი ქართული ცივილიზაციის „აისია“** (კლიმენტი შელია), **„უკოლხეთოდ საქართველო უწარსულოა“** (ვაჟა ეგრისელი).

სულმნათი მიხეილ ჯავახიშვილი გვმოძღვრავს: **„შენ ხარ მარადიული, განუყრელი და ერთგული წევრი და მსახური შენს მშობელ საქართველოში. შენი სამშობლოს მტერი – შენი პირადი მტერია, ხოლო მისი მეგობარი – შენი პირადი მეგობარი. ყველაფერი, რაც გაქვს და გექნება, შენი სიცოცხლეც კი – შენს მამულს ეკუთვნის, შენ ხარ მისი მუდმივი მოვალე და განუყრელი შვილი, მიეცი მამულს რწფელი გულით ყოველივე და ისიც მოგცემს ყოველივეს. გზის გაკვლევა და გამარჯვება შეიძლება მხოლოდ შრომით და პატიოსნებით, ზარმაცობა, ცუღლუტობა, სიცრუე და სიყალბე ადამიანს, ადრე თუ გვიან, უეჭველად დაღუპავს“.**

დიდი კონსტანტინე გამსახურდიას მთელი სამწერლო შემოქმედება ზემოაღნიშნული ნააზრევის კონკრეტული გამოხატულებაა.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის, სულმნათ ზვიად გამსახურდიას საქართველოს მთლიანობისთვის ზვარაკად შეწირული სული დღესაც მოგვიწოდებს სიფრთხილე-სიფხიზლისკენ; გასული საუკუნის 90-იან წლებში, სამოქალაქო ომის დროსაც, როცა გარეშე გონიერმა მტრებმა და, სამწუხაროდ, ზოგიერთმა უგუნურმა შინაურმაც ქვეყნის იმერ-ამერად დაყოფა მოიწადინეს, **– დასავლეთი საქართველო პოლიტიკურმა გაერთიანებამ „მრგვალმა მაგიდამ“ მართოს, „ხოლო აღმოსავლეთი საქართველო – „საქართველოს მოქალაქეთა კავშირმაო“, ზვიად გამსახურდიამ კატეგორიული უარით კიდევ ერთხელ ააცდინა მამულს დაშლის რეალური საფრთხე, რაც მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა...**

**ფრთხილად, ქართველნო, ფრთხილად!**

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით მაღალმა ღმერთმა გვისმინოს და ღვთისმშობელ მარიამის წილხვედრი საქართველოს შვილებს მიანიჭოს ჭეშმარიტების შეცნობის მადლი, გაგვაერთიანოს, გაგვაძლიეროს, გაგვამრავლოს და გაგვახაროს. ამინ!

**ნუგზარ ნადარაია,**
**ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის დოქტორი**

**ალიან-ჩალიანი**

## ვის ჩუქნიდა ბაჩო ახალაია იარაღებს



**პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის ინფორმაციით, თავდაცვის ყოფილ მინისტრ ბაჩო ახალაიას 756 000 ლარის იარაღი აქვს საჩუქრად დარიგებული.**

**როგორც დღევანდელ სესიაზე სესიაშვილმა განაცხადა, ახალაიასგან იარაღი საჩუქრად უმცირესობის ამჟამინდელ წევრებს აკაკი მინაშვილსა და ნუგზარ წიკლაურსაც ერგოთ.**

**– ამ იარაღის ჯილდოდ გადაცემასაც თავისი წესი აქვს და ის სამსახურებრივ საშტატო იარაღს წარმოადგენს. ამ სიაში ასევე მოხვდნენ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის გასართობი პროგრამა „შაბათის შოუს“ მსახიობები, მომღერლები, რაც ასევე დასაფიქრებელია, – განაცხადა სესიაშვილმა.**

**გარდა ამისა, სესიაშვილის ინფორმაციით, ბაჩო ახალაიამ 440 000 ლარი გადაიხადა „მინი-ვენში“, რომელშიც არის „პლეისთეიშენის„ გასართობი მოწყობილობა დამონტაჟებული. ამასთან, სესიაშვილმა განაცხადა, რომ თავდაცვის უწყებაში 2009 წლის სექტემბრიდან 2012 წლის ოქტომბრის ჩათვლით, 41 მილიონი ლარის პრემიაა დარიგებული, რომლის დიდი ნაწილი მაღალჩინოსნებმა მიიღეს.**

**გაერთიანებული შტაბის უფროსმა სამი წლის განმავლობში აიღო 267 000, მისმა მოადგილემ გიორგი კალანდაძემ კი – 200 000. ნამდვილად არ ვარ წინააღმდეგი გენერალიტეტმა პრემია აიღოს, მაგრამ როდესაც ხედავ გაუსაძლის პირობებს და საფრთხეს, რომ ეს შენობები ჩამოინგრეს და ამ დროს ამხელა პრემიებს იღებ, – ეს არის უპასუხისმგებლობა. 2012 წლის 3 ოქტომბრიდან 11 ოქტომბრამდე, როდესაც ხელისუფლების გადაცემა უნდა მომხდარიყო, სასწრაფო წესით 738 000 ლარი იქნა პრემიების სახით ჩამორიგებული, მათ შორის მინისტრის მოადგილემ აკაკი სეფერთელაძემ 12 500 ლარი აიღო, გენერალური ინსპექციის უფროსმა – 15 000. თქვენ მიერ დამოუკიდებელ ექსპერტად წოდებულმა სვიმონ მასხარაშვილმა კი პრემიის სახით ერთი წლის განმავლობაში 40 000 ლარი აიღო, – განაცხადა სესიაშვილმა.**



**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**ა.წ. იანვარში ცნობილი გახდა, რომ თურქეთის დიდი ეროვნული კრება (პარლამენტი) შეუდგა სტამბოლის წმინდა სოფიას ტაძრის მეჩეთად გადაკეთების საკითხის განხილვას. ინფორმაციის მიხედვით, განხილვის დაწყების საბაბი გახდა პარლამენტისადმი ზოგიერთი პირის წერილობითი მიმართვა, რაც ცხადია, უფრო მეტად ფორმალობაა, ვიდრე რეალური არსი მის მიღმა არსებული საკითხისა, უფრო სწორად ტენდენციისა, რასაც ადგილი აქვს თანამედროვე თურქეთში.**

საყდარი VI საუკუნეში აშენდა ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანეს მიერ. 1453 წელს თურქებმა კონსტანტინეპოლი აიღეს და წმინდა სოფიის ტაძარი აია სოფიას მეჩეთად გადააკეთეს. 1934 წელს თურქეთის ლიდერმა, თურქების მამად წოდებულმა ქემალ ათათურქმა, მის მიერ გამოცხადებული სეკულარიზაციის ჩარჩოებში, აია სოფიას უნიკალური ძეგლი მუზეუმად გამოაცხადა.

მას შემდეგ ეს ძეგლი უამრავ ტურისტს იზიდავს. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ აია სოფია სტამბოლის ერთადერთი თუ არა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ღირსშესანიშნავი ადგილია. ძნელად მოიძებნება ტურისტი თუ სტამბოლში ჩასული უცხოელი, რომელმაც ეს შესანიშნავი ისტორიული ნაგებობა არ მოინახულოს.

მაგრამ, როგორც ჩანს, სრულიად შესაძლებელია პარლამენტის გადაწყვეტილებამ, თუ ეს მოხდა, ძეგლს უცხოელი ტურისტების რაოდენობაც მოაკლოს და პროფილიც შეუცვალოს ანუ გადააკეთოს ის მეჩეთად.

ტრანსფორმაციის მსურველთა რაოდენობა კი დღითი დღე იზრდება. გასული წლის მაისში თურქეთის ისლამისტური პარტიის ლიდერმა მუსტაფა კამალაკმა, სხვა ისლამისტ მოღვაწეებთან ერთად გააკეთა საჯარო მოწოდება — „ერთ შესანიშნავ დღეს“ აია სოფიას მუზეუმის მეჩეთად გადაკეთების თაობაზე. მოწოდებას სამი ათასკაციანი მიტინგიც მოჰყვა, მოთხოვნით — „ჯაჭვებისგან დავიხსნათ შენობა და გავხსნათ არქიტექტურის ძეგლის კარი მლოცველთათვის“.

მიტინგის შემდეგ პარლამენტის წევრმა სინან აიგუნმა განაცხადა, რომ ყველაფერს იღონებს აია სოფიას სტატუსის საკითხის განხილვისათვის. რა გადაწყვეტილებას მიიღებს პარლამენტი ან როგორ შეხვდება აღნიშნულს ოპოზიცია, უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

თურქეთი საერო რესპუბლიკაა, რომელშიც, ათათურქის მეცადინეობით, ისლამის პოზიციები არც ისეთი ძლიერია, როგორც სხვა მუსლიმანურ ქვეყნებში, თუმცა ბოლო წლებში თვალშისაცემია ისლამის გაძლიერება.

აია სოფიასთან დაკავშირებული ისტორია სულაც არ არის უცხო. ქრისტიანული ეკლესიები, მეჩეთებად გადაკეთებულები, შემდეგ, ათათურქის ბრძანებით, მუზეუმად ქცეულნი, რეჯეპ ტაიპ ერდოღანის პრემიერ-მინისტრობის დროს ისევ მეჩეთებად გადაკეთდა.

მათ შორისაა ქალაქ იზნიკის (ადრინდელი ნიკეს) IV საუკუნის ქრისტიანული საყდარი, რომელიც 1331 წელს თურქებმა მეჩეთად აქციეს. ათათურქის დროს ეს მეჩეთიც მუზეუმად გამოცხადდა. ისტორიული შენობა წლის განმავლობაში 40 ათას ტურისტს იზიდავდა. 2012 წელს, თურქეთის რელიგიის საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, მუზეუმი დაიხურა და სათანადო სამუშაოების ჩატარების შემდეგ, მეჩეთად გადაკეთდა.

ნიკეს აღორძინებული მეჩეთის გახსნისას თურქეთის ვიცე-პრემიერმა ბიულენტ არიჩმა განაცხადა: „ნიკეს წმინდა სოფიას მოჰყვება ტრაპეზუნდის წმინდა სოფია“. ეს უკანასკნელი, მე-13 საუკუნის ძეგლი, ჯერჯერობით მუზეუმია, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერჯერობით.

ნიშანდობლივია ისიც, რომ თურქეთის პარლამენტში აია სოფიას საკითხის განსახილველად შეტანის დღეს, თურქეთის მთავრობამ გადაწყვიტა სტამბოლის V საუკუნის ბაზილიკის, რომელიც აია სოფიას მუზეუმის კომპლექსს ეკუთვნის, მლოცველებისთვის დაბრუნება. 1453 წელს ბაზილიკა მეჩეთად გადაკეთდა. 1920 წელს მას ხანძარი გაუჩნდა და დღემდე არავის აღუდგენია. მთავრობის გადაწყვეტილებით, ისტორიული ნაგებობა აღდგება და იქ მეჩეთი იქნება.

ქრისტიანული სამლოცველოების მეჩეთებად გადაკეთება არა მარტო თურქეთში ხდება, არამედ სხვაგანაც, მაგალითად ალჟირში. ამ ქვეყანამ, როდესაც საფრანგეთისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა, კათოლიკური წმინდა ფილიპეს საყდარი კეტშავას მეჩეთად გადააკეთა.

1974 წელს, კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილი, ნატოს წევრმა, თურქეთის არმიამ დაიპყრო. დაპყრობის დროს 133 ეკლესია მიწასთან გასწორდა, ხოლო 77 მეჩეთად გადაკეთდა. და ამას ყველაფერს ნატო და ევროკავშირი გულდამშვიდებით შეჰყურებდა. ოკუპაციას მოჰყვა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკის შექმნა. ეს რესპუბლიკა დღესაც არსებობს, ისე, როგორც ორად გაყოფილი კუნძული.

2011 წელს იზნიკში აია სოფიას მეჩეთის გახსნის დროს, თურქეთის ვიცე-პრემიერის ბიულენტ არიჩის განცხადებაში ნათქვამი იყო შემდეგი: „ამ აქტით, ჩვენ აღვადგენთ ჩვენი წინაპრების მიღწევები. იზნიკის აია სოფია არის შედეგი დაპყრობისა და ამიტომაც ეკლესია მეჩეთად გადაკეთდა, რაც კანონზომიერია“. ამ მოსაზრებით, თურქთა ეროვნულ მეხსიერებაში სტამბოლის აია სოფია უფრო მნიშვნელოვანი დაპყრობის ნაყოფია. სწორედ ბიზანტიის დედაქალაქის აღებით იწყება თურქთა ისტორიის ახალი ერა.

**უცხოური პრესიდან ამოკრეფილი ზემოთ მოყვანილი მაგალითების მკითხველის სამსჯავროზე გამოტანა შემთხვევითი არ არის, მას გარკვეული დატვირთვა უნდა ჰქონდეს ყველა ჩვენგანზე, სრულიად საქართველოზე, რამეთუ მართლმადიდებელ ქვეყანას, სამხრეთ კავკასიაში მდებარეს, დიდ თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის მოქცეულს, ფხიზელი თვალი, მით უმეტეს გონება უნდა ჰქონდეს.**

**მას სიტყვაც უნდა ეთქმოდეს ქვეყნის საჭირბოროტო საქმის გადაწყვეტაში, წინააღმდეგ შემთხვევაში აღარც ქვეყანა იქნება და აღარც ის რელიგია, რასაც საუკუნეთა განმავლობაში ვეთაყვანებით. ივანიშვილები მოდიან და მიდიან, ისე, როგორც სააკაშვილები, ვისი წასვლის მოწმენიც ვხდებით, ქვეყანა კი რჩება, უფრო სწორად უნდა დარჩეს. მას არაფერი უნდა დააკლდეს გუშინდელი თუ დღევანდელი ხელისუფალის ერთპიროვნული გადაწყვეტილებებით.**

სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის 20 წლის განმავლობაში, თუ რამ არ ჩამოყალიბდა საქართველოში, საზოგადოებრივი თვითშეგნება და პასუხისმგებლობაა. ასობით არსებული არასამთავრობო ორგანიზაცია, ცხადია უცხოეთიდან, განსაკუთრებით აშშ-დან დაფინანსებული, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის დამკვიდრების ნაკლებ მოსურნეა.

ისინი დამფინანსებელთა ინტერესების გამტარებლები, მაამებლები არიან. ერთიანი საზოგადო თვითშეგნების არარსებობამ გამოიწვია სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის ცხრაწლიანი, ანტისახელმწიფოებრივი პარპაში, მართლმადიდებლობასთან ღია თუ ფარული ბრძოლა, ანტიმართლმადიდებლური რელიგიური სექტების, მათ შორის რეაქციულისათვის ხელის შეწყობა და სხვა.



# არათანაბარი „ჩეინჯი“



გახსოვთ ალბათ, იეღოველთა წინააღმდეგ გამართული გამოსვლები 21-ე საუკუნის დასაწყისში, ისიც გახსოვთ, რა თავდადებით იცავდნენ მათ საქართველოში აშშ-ის საელჩოს იმჟამინდელი დიპლომატები, ელჩ მაილსის ხელმძღვანელობით. გახსოვთ ალბათ, 1999 წლის მოწვევის პარლამენტში, აღნიშნულ საკითხზე მწვავე დებატები. პირადად მახსოვს, მაილსის მოსვლა პარლამენტში და მისი ნაკლებად დიპლომატიური განცხადებები იეღოველების მოწინააღმდეგეთა მისამართით გამოთქმული.

**ნაცვლად იმისა, რომ ხალხს გაეგრძელებინა პოლიტიკური აქტიურობა, ახალი ხელისუფლების არჩევის შემდეგ ტაიმ-აუტი აიღო და ყველაფერი „მეოცნებე“ ხელისუფლებას გადააბარა — პრინციპით — ბუს დიდი თავი აქვს და იმან იმტვრიოსო, მან და მხოლოდ მან, უჩემოდ გადაწყვიტოს ყველაფერი, დიდი თუ პატარა, მნიშვნელოვანი თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხებიო.**

**ხელისუფლებამაც „გაუგო“ ხალხს და აღარც აწუხებს, თვითონ იღებს „პასუხისმგებლობას“. ჩანს ცხრაწლიანმა ინდიფერენტულობამ სერიოზულად იმოქმედა ჩვენზე.**

შეუცდომელი არავინაა, მათ შორის არც ახალი ხელისუფლება, რომელმაც პრემიერ-მინისტრის თურქეთის ვიზიტი წარმატებულად ჩათვალა, თვით პრემიერმა ბრძანა - ყველაფერზე შევთანხმდით, მათ შორის ისეთ საკითხზე, როგორიცაა ოშკისა და იშხნის ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების აღდგენა და ბათუმში მეჩეთის აშენებაო.

**აღნიშნული თემები, შარშან, სერიოზულ ვნებათა ღელვას იწვევდა ქართველ პოლიტიკოსებში, საერთოდ საზოგადოებაში. ამ საკითხზე არაერთი საპროტესტო მიტინგი მოაწყვეს ბათუმელებმა. განსაკუთრებით აქტიურობდა მაშინდელი ოპოზიცია — დღევანდელი ხელისუფლება.**

თურქეთის ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ „ჩეინჯს“ ისინი ყოვლად დაუშვებელად მიიჩნევდნენ. ანტისახელისუფლებო განცხადებების გული და სული ბათუმელი ოპოზიციონერი მურმან დუმბაძე, დღევანდელი ვიცე-სპიკერი იყო. მისი იმჟამინდელი და არა ამჟამინდელი განცხადებები, თავისი ობიექტურობით ქვას ხეთქავდა.

**რა მოხდა, რამ შეაცვლევინა დალოცვილს აზრი? არ გვინდა დავიჯეროთ — ვიცე-სპიკერობამ. ივანიშვილის ვიზიტის შემდეგ დუმბაძის ნათქვამი დღესაც ქვას ხეთქავს — არასდროს ვყოფილვართ ბათუმში მეჩეთის აშენების წინააღმდეგიო. ამ ნათქვამით დუმბაძემ, წინა პარლამენტში „პადოშად“ წოდებული პარლამენტარის „რეკორდები“ მოხსნა.**

**„გულშიჩამწვდომი“ იყო საგარეო საქმეთა მინისტრის „ღრმადშინაარსიანი“ განცხადებაც — ბათუმში მეჩეთი აშენდება, მაგრამ არა აზიზის, მლოცველებს ხომ უნდათ ლოცვაო. კეთილი, მაგრამ შარშან არ უნდოდათ? როგორც ჩანს, ეს რიტუალი წელიწადგამოშვებით იმართება.**

რას ვერჩოდით ნაციონალებს, მათაც ხომ იმაზე მეტი არ უთქვამთ, რასაც დღეს ამბობენ? იქნებ ბათუმს მართლაც სჭირდება ახალი მეჩეთი? ახალს იმიტომ ვამბობ, ძველი ხომ ფუნქციონირებს ქალაქის ცენტრში? 120 ათას ბათუმელს, რომელთა შორის უმეტესობა ქრისტიანია, არ ჰყოფნის ერთი მეჩეთი?

სრულიად შესაძლებელია, ვინაიდან ისეთი თურქული მოზღვავებაა, რომ აჭარლები „კმაყოფილებას“ ვერ მალავენ. ღია კარმა, მით უმეტეს ღია პოლიტიკამ, წინა ხელისუფლების და მისი ლიდერის ოჯახის მჭიდრო თურქულმა კონტაქტებმა აჭარას, ბათუმს, სრულიად საქართველოს თვალნათლივ დაანახა ყარსის ისტორიული ხელშეკრულების მოქმედება.

**თითქმის საუკუნის წინათ დადებული ხელშეკრულება, სრული სიგრძე-სიგანით საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში, განსაკუთრებით ბოლო ცხრა წელს ამოქმედდა. ამდენად მათ, ანუ ბათუმში მომუშავე თურქებს ხომ სჭირდებათ სალოცავი?**

ბათუმი პატარა ქალაქია და ჭორ-მართალი ელვისებური სისწრაფით ვრცელდება, ჰოდა ერთ-ერთ ასეთთან დაკავშირებით წერდა ჩვენი გაზეთის აჭარის საკორესპონდენტო ბიუროს ხელმძღვანელი ამირან კილურაძე. მის მიხედვით, სასტუმრო „შერატონის“ თურქ მეპატრონეს უთქვამს — „ამ სასტუმროში ბევრი მუსლიმანური აღმსარებლობის სტუმარი ჩამოდის და სალოცავი არ აქვთო“.

**სასტუმროს მეპატრონეს, შექმნილი „უმძიმესი“ ვითარებიდან გამოსავალიც მოუძებნია — სკოლის დანგრევა და ჯამეს აშენება. „საშური“ მიგნებაა, რასაც დარწმუნებული ვარ, ბათუმის ხელისუფლება უყოყმანოდ აღასრულებს.**

აზიზის მეჩეთი არ აღდგებაო — იყო ომახიანი და მტკიცე განცხადება ახალი ხელისუფლებისა, მაგრამ მეჩეთი ხომ იქნება?! თანაც ვითომ შეწირული ფულით, სინამდვილეში ბიუჯეტით. მეჩეთი, მეტადრე, ჩამოსულ თურქთათვის აშენდება, მათ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს და არა დემოგრაფიული თვალსაზრისით ერთობ „გადავსებულ“ ბათუმს. ღმერთმა ამრავლოთ, მაგრამ რაღა ბათუმში იზრდება მოსახლეობა, თანაც მაჰმადიანური, როდესაც მთელს საქართველოში დემოგრაფიული კოლაფსია?

საქართველოს შემაღონებელ დემოგრაფიას არაერთი საფუძვლიანი სტატია მიუძღვნა პროფესორმა ანზორ თოთაძემ. სულ ახლახანს, ჩვენმავე გაზეთმა გამოაქვეყნა ინტერვიუ თამარ ჩიბურდანიძესთან, რუბრიკით „შემაშფოთებელი დემოგრაფია“. ინტერვიუ ეხება გაეროს მიერ 2010 წელს ჩატარებულ კვლევებს, რომლის მიხედვით, 2050 წლისთვის საქართველოს დემოგრაფიული კატასტროფა გარდაუვალი იქნება.

გაეროს მონაცემებით, ქვეყნის მოსახლეობა მილიონ ას სამოცდაათი ათასით შემცირდება. ის მცირედი მატება, რაც საქართველოში იქნება, იმ რაიონების ხარჯზე მოხდება, სადაც აზერბაიჯანელები და სომხები ცხოვრობენ. როგორი სურათია ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთში? გაცილებით უკეთესი. ორივეგან მოსალოდნელია მატება — განსაკუთრებით აზერბაიჯანში, — 9-დან 11 მილიონამდე.

ჩიბურდანიძე „ოცნების“ წევრია და აქედან გამომდინარე ამ მონაცემებს სხვა „ოცნებელებსაც“ გააცნობდა. და თუ ეს მართლაც ასე მოხდა, მცირემოსახლიან ბათუმს, მეტადრე ქრისტიანულს, არ უნდა დასჭირდეს მეჩეთი. მართალია, გაეროს მონაცემებით მცირედი მატება აჭარაშიცაა მოსალოდნელი, თუმცა, ეს ის რაოდენობა არაა, ახალი მეჩეთის აშენების საბაბად რომ გამოდგეს.

უნებლიეთ იბადება კითხვა — იქნებ, რელიგიაზე მეტად სხვა რამესთან გვაქვს საქმე? მაგალითად პოლიტიკასთან, „მეზობლურ“ გავლენასთან, რაც სხვათა შორის თვალნათელია, თან დაფიქრებას მოითხოვს. დემოკრატიისა და ტოლერანტობის გამუდმებული ძახილით შეიძლება ისეთი ბალანსი დავარღვიოთ, რაც ოდითგანვე არსებობდა საქართველოში.

**ამ უხილავი ბალანსის დარღვევას შესაძლოა დაპირისპირებაც მოჰყვეს. აკი, მოხდა კიდეც ეს. რელიგიურ ნიადაგზე წამოჭრილი დაპირისპირება არ წაადგება ორი ქვეყნის ურთიერთობას, მათ შორის პოლიტიკურს. მხოლოდ ზომიერების დაცვას შეუძლია აგვარიდოს პრობლემებს. თითო-ოროლა ბიზნესმენის ქცევამ, განსაკუთრებით განცხადებამ, შეიძლება დაძაბოს ურთიერთობა. და ხალხის ისეთი უკმაყოფილება გამოიწვიოს, რის შესახებაც წერს ჩვენი ბათუმელი კორესპონდენტი.**

სამწუხაროდ მოსულთა მხრიდან მსგავსი განცხადება იშვიათობა არაა. ამას წინათ, ტელეკომპანია „ობიექტივში“ გამოსვლის დროს ერთი ბათუმელი რესპონდენტი ქალბატონი გულდათუთქული ამბობდა — ცარიელი ბოთლების მიმღებ პუნქტში ბოთლები არ ჩამაბარებინეს, ვინაიდან ქართულად დავილაპარაკეო (პუნქტი თურქის ყოფილა).

პატარ-პატარა ამბებით იწყება დიდი საქმეები. თუ პატარა საქმეები ნეგატიურია, გადიდებისას პოზიტიურად ვერ გადაიქცევა. პატარ-პატარა საქმეებს მოჰყვა მაჰმადიანთა მიმართ ის ნეგატიური განწყობა, რაც შეიმჩნევა საქართველოზე მეტად ტოლერანტულ ევროპაში, მათ შორის საფრანგეთში — ათასობით მეჩეთით და საგრძნობი მუსლიმანური მოსახლეობით. ექსპერტთა მიხედვით, თუ ასე გაგრძელდა, 2050 წლისათვის საფრანგეთის ქრისტიანული და მუსლიმანური მოსახლეობა ერთმანეთს გაუთანაბრდება. და ეს საქართველოს მოსახლეობაზე ათჯერ დიდ საფრანგეთში.



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## როცა არგუმენტებს თითიდან იწოვენ



# ეგენი ფინანსურ ინდულგენციას ვერ მიიღებენ

**„ნაციონალური მოძრაობა“ და მისი კარის ბიზნესმენები ფინანსურ ინდულგენციას ვერ დააკანონებენ. ფინანსური, ეკონომიკური და სამეწარმეო დანაშაულების ამნისტირების თაობაზე პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ საკანონმდებლო პაკეტს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტებმა მხარი არ დაუჭირეს.**

როგორც უმცირესობის წევრი ზურაბ ჯაფარიძე განმარტავდა, წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი მნიშვნელოვანი შეღავათი იქნება ბიზნესსექტორისათვის. ეს შესაძლებელს გახდის, კერძო სექტორში მეტი ფული გაჩნდეს და მეტი ადამიანი დასაქმდეს. თუმცა, ჯაფარიძის არგუმენტები უმრავლესობამ თითიდან გამოწოვილად მიიჩნია.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრების მოსაზრებით, მიხეილ სააკაშვილი პარლამენტს წარმოდგენილი ცვლილებების მიღებას პარლამენტს მასთან დაახლოებული ბიზნესმენებისათვის სთავაზობს და ინდულგენციის დაკანონებას ითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარია რატომ არ გამოვიდა მიხეილ სააკაშვილი 1 ოქტომბრამდე ფინანსურ-ეკონომიკურ დანაშაულთა ამნისტირების ინიციატივით?

უმრავლესობაში თვლიან, რომ ეკონომიკურ-ფინანსურ დანაშაულთა ამნისტირებისა და დეკრიმინილაზაციის ინიციატივა პრეზიდენტმა მასთან დაკავშირებულ ნომენკლატურული, პარტიული ბიზნესის დაცვის მიზნით მოამზადა.

დეპუტატი გედევან ფოფხაძე მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის სურვილია, ბიზნესმენთა ის ნაწილი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პირობებში ხელშეუხებელი იყვნენ და სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ვერავინ გაუბედავდა, კვლავ პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა პრეზიდენტის ინიციატივაზე მთავრობის შენიშვნები სრულად გაიზიარა, ასევე აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ პრეზიდენტი საკანონმდებლო ინიციატივას არ ახლავს სტატისტიკა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენ პირს შეიძლება შეეხოს ფინანსური ამნისტია.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე ფინანსური და არადეკლარირებული შემოსავლების ამნისტირების თაობაზე პრეზიდენტის შეთავაზებულ საკანონმდებლო პაკეტში რამდენიმე მისთვის მისაღებ ინიციატივას ხედავს, თუმცა ზოგადად, კანონპროექტის არსი მიუღებლად მიაჩნია. შესაბამისად, სამეწარმეო, ფინანსურ-ეკონომიკური დანაშაულების ამნისტირებისა და ასეთ დანაშაულთა დეკრიმინალიზაციის თაობაზე პრეზიდენტის მიერ შემუშავებულმა პაკეტმა მხარდაჭერა დღეს ვერც იურიდიულ საკითხთა კომიტეტისგან მიიღო.

ხმალაძის აზრით, პაკეტში არის ისეთი საკითხები, რომელიც შეიძლება პარლამენტმა გაიზიაროს, მაგრამ რაკი ის საკანონმდებლო პაკეტშია წარმოდგენილი, მხარს ვერ დაუჭერს. დეპუტატი კატეგორიულად არ იზიარებს შეუსრულებელ საგადასახადო ვალდებულებებსა და შემოსავლებზე ფინანსური ამნისტიის გამოცხადების პრინციპს და მას „უსამართლოდ“ აფასებს.

**„ასეთ კანონპროექტს ვერანაირად დავუჭერ მხარს, რადგან ის უსამართლობას დააკანონებს. ეს იცით რისი ანალოგიაა? — როდესაც ზოგიერთი მედიასაშუალება მილიონობით გადასახადს არ იხდიდა და შემდეგ მისთვის ფინანსურ ამნისტიას იყენებდნენ, მაშინ როდესაც, ზოგი მედიასაშუალება გაჭირვებითა და წელებზე ფეხის დადგმით საგადასახადო ვალდებულებებს ისტუმრებდა. ასეთი რამ უსამართლობაა, რასაც მხარს ვერ დავუჭერ“,** — აღნიშნა ხმალაძემ.

მისი თქმით, პრეზიდენტმა ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელი კანონებისაგან შემდგარი პაკეტი წარმოადგინა. „მათ შორის ზოგიერთი ისეთი კანონპროექტი, რომელიც, ჩემი აზრით, განსახილველი იყო და შესაძლებელი იყო მიღებული ყოფილიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე პაკეტის სახით რომ არის წარმოდგენილი, გადაწყვეტილებაც პაკეტის მიმართ უნდა მიგველო და არა ცალკეული კანონპროექტის მიმართ.

ამ პაკეტში თავი და თავი და რაც იყო საზოგადოებისთვის მიწოდებული, იყო კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ფინანსურ ამნისტიას შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულებისა და აღურიცხავი შემოსავლების თაობაზე. მე პირადად ასეთ კანონპროექტს მხარს ვერანაირად ვერ დავუჭერ, რადგან ეს იქნება უსამართლობის დაკანონება“, — განაცხადა ხმალაძე.

დეპუტატის თქმით, ფინანსური ამნისტია თავის დროზე უარყოფითად აისახა მედიასაშუალებებზე.

**გიორგი ბექაური**

## უნივერსიტეტში ძველი სული ტრიალებს

# თსუ-ს სტუდენტები ალექსანდრე კვიტაშვილის გადადგომას ითხოვენ

***ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთი ნაწილი რექტორ ალექსანდრე კვიტაშვილის გადადგომას მოითხოვს. სტუდენტები ამბობენ, რომ უკვე წლებია, რაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს ასაქმებენ და ამ პროცესს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და ასევე, უნივერსიტეტის თვითმართველობა კურირებს. სტუდენტების თქმით, თუკი რექტორი დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას ვერ უზრუნველყოფს, ის უნდა გადადგეს.***

***სტუდენტებთან ერთად, ალექსანდრე კვიტაშვილს უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორ-მასწავლებლებიც უპირისპირდებიან და მას უმოქმედობაში ადანაშაულებენ.***

***For.ge სტუდენტებსა და ყოფილ ლექტორებს ესაუბრა.***

„თავისუფალ სტუდენტთა კავშირის“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მეტრეველი აცხადებს, რომ უნივერსიტეტში მძიმე ვითარებაა. კონკრეტულად კი, სტუდენტები გაოცებულნი დარჩნენ, როდესაც გაიგეს, რომ ბექა ახლოური, რომელიც წლების მანძილზე სტუდენტური თვითმმართველობის წევრი გახლდათ და ფიზიკურად უსწორდებოდა განსხვავებული აზრის მქონე სტუდენტებს, ახლახან დაასაქმეს თსუ-ს ადმინისტრაციაში. სწორედ ბექა ახლოურს უკავშირდება სტუდენტთა შორის დაპირისპირების გახმაურებული ფაქტები.

ასევე ნიკოლოზ მეტრეველი აცხადებს, რომ უნივერსიტეტში მილიონობით ლარის არამიზნობრივი ხარჯვა მიმდინარეობს და ბიუჯეტის შესახებ მათ ვერ მოიპოვეს კონკრეტული დოკუმენტაცია, თუ რაში იხარჯება ეს თანხები.

უფრო მეტიც, მისი თქმით, ელემენტარულად, უნივერსიტეტში არ არსებობს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გადაჭედილია აუდიტორიები და სტუდენტები ნორმალურად ვერ ისმენენ ლექციებს, უჭირთ საგნების არჩევა, რადგან სისტემა გაუმართავია.

**„ბატონ კვიტაშვილს აკადემიური ხარისხიც არა აქვს, რაც გამაოგნებელია იმ უნივერსიტეტში, სადაც მსოფლიო მასშტაბის არაერთი მეცნიერი მოღვაწეობდა და დღეს უნივერსიტეტს მართავს „უხარისხო“ ადამიანი. იგი უკვე ორი წელია, დაპირებებს იძლევა, მაგრამ გვატყუებს. ამის მოთმენას აღარ ვაპირებთ და მას გადადგომისკენ მოვუწოდეთ“,** — აცხადებს ნიკოლოზ მეტრეველი.

იმ შემთხვევაში, თუ სანდრო კვიტაშვილი საკუთარი ნებით არ დატოვებს პოსტს, მაშინ მას საზოგადოებრივ-სტუდენტური აქტივობის წევრები დაუპირისპირდებიან და როგორც ნიკოლოზ მეტრეველი აცხადებს, რექტორს მაინც მოუწევს თანამდებობის დატოვება.

**„როდესაც შეიტყო, რომ აქციას ვატარებდით, კვიტაშვილი გაიქცა უნივერსიტეტიდან, რამდენიმე წუთით ადრე დატოვა უნივერსიტეტი. თუმცა, იქ იყვნენ მისი წარმომადგენლები და მათაც გადავეცით ჩვენი მოთხოვნები. ასე რომ მის გადაწყვეტილებას ველოდებით“,** — აღნიშნა ნიკოლოზ მეტრეველმა.

ამასთან, განათლების სამინისტროსაც მოუწოდა, უფრო აქტიურად ჩაერიოს უნივერსიტეტში არსებულ ვითარებაში, რადგან სიტუაცია ამას მოითხოვს.

მისი თქმით, ამავე აზრს იზიარებს უნივერსიტეტის თითქმის ყველა სტუდენტი, გარდა იმ სტუდენტებისა, ვისაც პირადი მერკანტილური ინტერესი ამოძრავებს.

For.ge თსუ-ს სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ყოფილ ლექტორს გიორგი ყიფიანს ესაუბრა, რომელმაც უნივერსიტეტიდან უკანონოდ დათხოვნის გამო სასამართლო პროცესი მოიგო, თუმცა, უნივერსიტეტში დაბრუნების უფლებას დღემდე არ აძლევენ.

მისი თქმით, უნივერსიტეტის ლექტორებისთვის არაერთი თავისუფალი ადგილია დარჩენილი, თუმცა, მათთვის ვაკანსიები ისევ მიუწვდომელია.

**„სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არის ოთხი თავისუფალი ადგილი. ეკონომიკის ფაკულტეტზე სამი ადგილია თავისუფალი, ამ დროს კი რამდენიმე ლექტორს საკმარისი კვალიფიკაცი აქვს და მათ არ იღებენ. ასევე, ერთ-ერთი ლექტორი ხუთი წლის განმავლობაში ამერიკის უნივერსიტეტებში იყო პროფესორის თანამდებობაზე. არიან მაღალი კვალიფიკაციის პროფესორები, მაგრამ მათ ამ თავისუფალ ადგილებზე ასისტენტობის უფლებასაც არ აძლევენ. პირადად მე ასისტენტობაზე იმიტომ მითხრეს უარი, რომ თქვენი მონაცემები მოთხოვნასთან შედარებით უფრო მაღალიაო“,** — აღნიშნა გიორგი ყიფიანმა.

ამასთან, ის მიზეზებიც განმარტა, თუ რატომ არ აწყობს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას თავისუფალ ადგილებზე ლექტორების დასაქმება. კერძოდ, მათი უგულებელყოფით უნივერსიტეტი თანხების შემდგომ აკუმულირებას ახდენს და არასათანადოდ იყენებს ამ თანხებს. სხვა პროფესორებს კი, სამჯერ ნაკლებ ფასად ამუშავებენ. ასე რომ, უნივერსიტეტი ეკონომიას აკეთებს ამ ლექტორების ხარჯზე. გარდა ამისა, ბოლო პერიოდის განმავლობაში პოლიტიკურ თუ სხვადასხვა მიზეზთა გამო ლექტორების დათხოვნის არაერთი ფაქტი მომხდარა. ამის გამო რამდენიმე ლექტორმა პროკურატურასაც მიმართა, რათა დადგინდეს, რა მიზეზით განხორციელდა მათი დევნა.

გიორგი ყიფიანი უნივერსიტეტიდან თავის ჩამოშორებას საკუთარ განსხვავებულ პოზიციას უკავშირებს. კერძოდ, უნივერსიტეტში იგი გამოხატავდა უთანხმოებას გარკვეული პოლიტიკის მიმართ, რაც ხელისუფლების პოზიციას ეწინააღმდეგებოდა.

**„ჩემი კონკურენტი უნივერსიტეტში არსებული თავისუფალი ადგილებია, ფაქტობრივად, კონკურენტი არც მყავს ამ ადგილებზე. მით უმეტეს, კომისიის დასკვნაში წერია, რომ მე უფრო მაღალი მაჩვენებელი მაქვს, ვიდრე საჭიროა. ამიტომ ჩემს მიმართ ასეთი მიდგომა ცინიზმია. გარდა ამისა, მაქვს ბევრი პუბლიკაცია, კონფერენციებზე რამდენიმე პროექტის ხელმძღვანელი ვარ“.**

ამდენად, გიორგი ყიფიანი მიიჩნევს, რომ ალექსანდრე კვიტაშვილი ნაციონალების კურსს აგრძელებს. ამას ემატება ისიც, რომ ყოველწლიურად იცვლება უნივერსიტეტის წესდება, რეგულაციები. ეს კი იმიტომ ხდება, რომ შესაძლებელი იყოს სუბიექტური და ტენდენციური გადაწყვეტილების გამოტანა.




**მარიამ ლოლაშვილი**

## ინფორმაცია



### ნაგავი და დენი განქორწინდნენ?

**დედაქალაქში ნაგვისა და ელექტროენერგიის გადასახადების გამიჯვნის თაობაზე დეპუტატ თინა ხიდაშელის საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტმა პირველი მოსმენით — 88 ხმით, ერთხმად მიიღო.**

**პირველი მოსმენით ცვლილებები „საქართველოს დედაქალაქის — თბილისის შესახებ“ კანონსა და „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ კანონში აისახა.**

**დეპუტატ თინა ხიდაშელის მიერ მომზადებული პროექტით, ნარჩენების გადასახადის ოდენობა მოხმარებული ელექტოენერგიის მიხედვით აღარ განისაზღვრება. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით მიღებული პროექტის თანახმად, დაგვა-დასუფთავების მომსახურებაზე ზღვრული მოსაკრებელი წესდება, რომლის ოდენობაც ერთ სულ მოსახლეზე თვეში სამ ლარს, ხოლო იურიდიული პირების შემთხვევაში, ერთ კუბურ მეტრ ნარჩენებზე 25 ლარს არ უნდა აღემატებოდეს. ამასთან, ამ მიმართულებით სულადობრივი ზღვარიც შემოდის და კანონში იწერება, რომ ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად, სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა ოთხი სულით განისაზღვრება.**

**პროექტის თანახმად, „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ კანონით სოციალურად დაუცველთა ფაქტორის გათვალისწინებაც ხდება და ფიქსირდება, რომ მოსაკრებლის ოდენობა ფიზიკურ პირებზე დიფერენცირებული უნდა იყოს, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის კანონმდებლობით დადგენილი სიღატაკის ზღვარის მაჩვენებლის შესაბამისად.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შუასაუკუნეების ჯალათებსაც კი აღემატებიან

# განა ქვეყანა ედარდებათ!..

**„საქართველოს პრეზიდენტი არ დაჯდება საჭესთან და არ მოსჭრის თავს მთელ ქვეყანას“, — ეს სიტყვები ბატონ ლევან ბერძენიშვილს ეკუთვნის. არ დაგიმალავთ და ჩვენც ასე ვიფიქრეთ, მაგრამ ჩვენი პრეზიდენტი მაინც დაჯდა საჭესთან და დაცვის გარეშე მეუღლესთან და პარტიულ მეგობრებთან ერთად, „მტრების ჯინაზე“ გაემგზავრა აეროპორტისკენ. ვინ ვისი და რისი მტერია, ეს კიდევ ცალკე სასაუბრო თემაა, ისიც საკითხავია ამ საქციელით პრეზიდენტმა ვის მოსჭრა თავი...**

რატომ არ ისარგებლა მან დაცვის სამსახურით, ნამდვილად გაურკვეველია, მაგრამ პრეზიდენტი უკვე დიდი ხანია ქვეყნის სასარგებლოდ რომ არ იქცევა, ამას ვხედავთ. ახლახან მისმა გამოსვლამ და ახალგაზრდა კორესპონდენტების წინაშე ვითომ გულწრფელმა შიშმა და ღელვამ, იმის გამო, რომ თურმე ახალი მთავრობა წყალში ყრის ყოფილი მთავრობის ნაშრომ-ნაამაგარს, საგულდაგულოდ ხერგავს ევროკავშირებისა თუ საბჭოებისაკენ მათ მიერ საგულდაგულოდ გაკვალულ გზას, რუსეთის კაპიტალისტებზე ყიდის საქართველოს ცნობილ, დიდ ბანკებს... მაგრამ შეცდომებით (თუ ტყუილებით?) გაჯერებულმა ასეთმა განცხადებებმა არა მგონია, რომ პრეზიდენტის ავტორიტეტს რაიმე სიკეთე მოუტანოს. საქართველოს შავ ჩრდილებად გადაეფარა პრეზიდენტისა და მისი გუნდის „ნამუშაკარი“. ზოგისთვის ძნელია ამ ჩრდილების დანახვა, მიუხედავად იმისა, რომ იგი მეტისმეტად ბნელია და შავი. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ არ იქნებოდნენ ქვეყანაში მშივრები, მათხოვრები, ბინაწართმეულები, ქონებადაყადაღებულები, ქვეყნიდან გაქცეულები, წამებულები, ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, ფიზიკურად ნაწამები ადამიანები და მათ მიერ არ დაიწერებოდა ის შემაძრწუნებელი წერილები, თითქმის ყოველდღე რომ იბეჭდება ქართულ პრესაში...

„ყოფილი ძალოვანი დაშნიანი 2009 წელს სასტიკად აწამეს იმის გამო, რომ მათი დაკვეთების შესრულებაზე უარი თქვა. სასაფლაოზე აიყვანეს, ამოთხრილ ორმოში ჩააგდეს და ზემოდან დააშარდეს. ასეთი ავადმყოფები და მაზოხისტები იყვნენ. ესენი დაუსჯელები არ უნდა დადიოდნენ“,

საზარელი ფაქტის ამსახველი ეს სიტყვები ერთ გაზეთში ამოვიკითხე, *მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, მძლეოსანი და კარატისტი* ***ამირან ბიწაძე,*** *უყვება კორესპონდენტს იმის შემდეგ, რაც საკუთარი წამების საოცარ, ამაზრზენ ეპიზოდებზე საუბარი დაამთავრა.*

ერთ და ორ ადამიანზე, პატიმარსა თუ დასაპატიმრებლად ათვალისწუნებელზე რომ ვისმენდე ასეთ ისტორიას, ვიღაცის მიერ მონაჭორ დეტექტიურ ზღაპრებად ჩავთვლიდი და არ დავუჯერებდი არც კორესპონდენტს და არც მის რესპონდენტს, იმდენად არაადამიანური და ეშმაკისეულია ეს ამბები, მაგრამ, საუბედუროდ, უკვე ყველამ კარგად ვიცით, თუ როგორ აწამებდნენ ადამიანებს ჩვენი ქვეყნის საპატიმროებში, როგორ უსამართლოდ ექცეოდნენ ძალოვან სტრუქტურებში... და, აი აქ და ამისთვის, მეტისმეტად გაკვირვებული და შეცბუნებული გეკითხებით: ყველამ ვიცით კი? ყველამ კარგად გავიაზრეთ კი ის მასობრივი საშინელებები, რაც ხდებოდა გასულ წლებში საქართველოს ძალოვან სტრუქტურებში ხელისუფლების დაკვეთით და თანამონაწილეობით თუ არა, თანაგრძნობით კი ნამდვილად?! ეჭვი მეპარება და ეს ეჭვი არა მხოლოდ პარლამენტის უმცირესობის წარმომადგენლებმა გამიჩინეს, არამედ საზოგადოების იმ ნაწილმაც, ახლა რომ თბილისის მერის დასაცავ აქციას აწყობს. აქ კი არ ვიცი რა ვთქვა, რასთან გვაქვს საქმე, უცოდინარობასთან, გაუნათლებობასთან, სინდისნამუსის დეფიციტთან თუ ზოგადად, ზნეობისა და ზნეობრიობის პრობლემებთან?

ძნელია წარმოიდგინო, რომ ჩვენი ოჯახების მახლობლად, მეზობლად არსებობენ ოჯახები, რომელთა წევრები, თავიანთი სადისტური ფანტაზიებით და კაცთმოძულეობით შუასაუკუნეების ჯალათებსაც კი აღემატებიან... ისიც ძნელია დაიჯერო, საკუთარი თანამოქალაქეების ერთგულების, თანამცხოვრებთათვის მზრუნველობის, ქალაქის უანგაროდ აღმშენებლობის პრეტენზიების მქონე ქალაქის მერი, მუშაკობის პროცესში ბიუჯეტიდან საკუთარი თავისთვის მილიონებს ითვისებს და ხალხს კი ამადლის: ქალაქი როგორ შეგილამაზეთო (აგიშენეთო, ხალხო!).

მაგრამ, კიდევ უფრო ძნელია საზოგადოების ნაწილის განწყობის ახსნა, როცა ეს ნაწილი ტაშისცემითა და გამამხნევებელი შეძახილებით ეგებება სასამართლო პროცესზე იმ ბრალდებულის გამოჩენას, რომელიც კარგა ხანია (წლების მანძილზე!) ხალხისაგან უკვე ბრალდებულად იყო შერაცხილი. უფრო მეტიც, რომელთა და რომელთა მსგავსთა უსამართლობით გამწარებული ხალხი ათიათასკაციან დემონსტრაციებს მართავდა და ბოლოს, როგორც იქნა, ამ ხალხმა საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას მიაღწია...

ამ დროს, საზოგადოების გარკვეული ნაწილი, ტაშისცემით ეგებება-მეთქი, ხალხისაგან შერისხულებს. ლამის არის და, „რვა თებერვლის“ ტანჯულ გმირად წარმოაჩინონ იმ დღის თითქმის საბედისწერო დღედ მქცეველი (პროვოკატორი) ადამიანი, რომელსაც, რვა თებერვალი რა არის და, სამართალდამცავმა ორგანოებმა არცთუ უმნიშვნელო ბრალდებები წაუყენეს, მათ შორის თანამდებობის ბოროტად გამოყენება და მილიონების გაფლანგვაც... მაგრამ, რა გინდა რომ ქნა, ამავე ორგანოების ერთი ნაწილი, ანუ პროკურატურა თუ ასე მოიქცა, სამაგიეროდ მეორემ, ანუ სასამართლომ, გააბათილა ყოველი და ბრალდებული უდანაშაულოდ ცნო, არც მილიონები გაუფლანგია თურმე ამ კაცს, არც ნაცმოძრაობის 700 წევრზე გაუცია ქალაქის ბიუჯეტიდან სოლიდური თანხა... ხალხი დავასაქმეო, მაგრამ ხომ ჩნდება კითხვა: რა ჭირდათ დასასაქმებელი თანამდებობით და ხელფასით უზრუნველყოფილთ? მათგან უმეტესობა ხომ ნაცმოძრაობის ჩინოვნიკები არიან?

აი ასეთი ქვეყანა გვაქვს დღესდღეობით,: პროკურატურა და სასამართლო არამც თუ ერთმანეთის მოქიშპეები არიან, არამედ სამართალსაც სხვადასხვა (პარტიული) კუთხით უყურებენ. და რა მოაქვს ყოველივე ამას? მხოლოდ“ იქეთურთა“ და „ აქეთურთა“ შორის ჭიდილი, სიძულვილი, გაბოროტება, საქვეყნო საქმეების უგულებელყოფა, უგუნური „დებატები“, ტელეარხების გადატვირთვა უნიჭოთა და ბრბოთა სანახაოებით, ნიჭიერთა მოცდენა, ხალხის ნერვების მოშლა და, რაც მთავარია, ზნეობის დაცემა! მერე და რატომ ხდება ყოველივე ეს? მხოლოდ იმიტომ, რომ მავანთ თბილი სკამებით მოპოვებული პრივილეგიები და ქონება არ დაკარგონ. განა ქვეყანა და ხალხი ედარდებათ!

**გულნარა სტურუა**

რეიტინგი

# შებოჭილი ეკონომიკური თავისუფლება

**ტურიზმი, ტრანსპორტი, ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობა — ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებებია, რომელთა აღმასვლაზე ამჟამად ახალი მთავრობის ძალისხმევაა მიმართული, დარგების მმართველი ორგანიზაციები დასახული გეგმების სარეალიზაციოდ საზღვარგარეთული კაპიტალის მოზიდვაზე ზრუნავენ, რა მიზნითაც ქვეყნის საგარეო უწყების ხელშეწყობით უცხოელ პარტნიორებთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ.**

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს განვითარების გზაზე მყოფი ქვეყნისთვის, გლობალიზაციის ეპოქაში კი მისი როლი გაცილებით მაღალია. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია, თუ როგორ აფასებენ პოტენციური ინვესტორები ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმებსა და მათთან დაკავშირებულ პროცესებს, საგარეო ბაზარზე მის კონკურენტუნარიანობასა და სხვა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „2012-2013 წლებში ქვეყნების გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ ანგარიშის“ რეიტინგის თანახმად, რომელსაც ორგანიზაცია 2004 წლიდან აქვეყნებს და მთელ რიგ პარამეტრს, მათ შორის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, ინფრასტრუქტურისა და შრომის, ფინანსური ბაზრის, ბიზნესის მდგომარეობას, უმაღლეს და პროფესიულ განათლებას, სანიტარიულ ვითარებასა და ა.შ. ითვალისწინებს, **საქართველოს 77-ე ადგილი აქვს მიჩნეული, რაც წინა რეიტინგთან შედარებით თერთმეტპუნქტიანი წინსვლაა. 2012 წლის ანგარიშით 144 ქვეყნის ნუსხის პირველი ათეული კი ასეთია: შვეიცარია, სინგაპური, ფინეთი, შვედეთი, ჰოლანდია, გერმანია, ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, ჰონგ-კონგი და იაპონია.**

დასახელებულ პოზიციებს თუ განვიხილავთ, მსოფლიო ეკონომიკური ფორმების ანგარიშში ქვეყნის **ინფრასტრუქტურის განვითარების დონით** საქართველოს თოთხმეტ ათეულზე მეტ ქვეყანას შორის **53-ე ადგილი** აქვს მიჩენილი, რაც სხვა პარამეტრებს შორის საუკეთესო შედეგია, **განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით — 61-ე ადგილი გვიკავია, ტექნოლოგიური მზაობით — 76-ე ადგილი, სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობით — 82-ე ადგილი, მაკროეკონომიკური პარამეტრებით — 88 ადგილი, უმაღლესი და პროფესიული განათლებით, ასევე ფინანსური ბაზრის განვითარებით — 93-ე ადგილი, შიდა ბაზრის სიდიდით — 99 ადგილი, შრომითი რესურსების გადინებით — 104-ე ადგილი, ბიზნეს განვითარებით — 113-ე ადგილი, ინოვაციების დონით — 126-ე ადგილი.**



ბუნებრივია, რომ 144 ქვეყნის ნუსხაში ასეულს გადაცდენილი ადგილი (თუნდაც მის სიახლოვეს ყოფნა), საქართველოს გლობალური კონკურენტიანობის ჭრილში მაინცდამაინც მიმზიდველად არ წარმოაჩენს. აქედან თუ შიდა ბაზრის სიდიდე თავად საქართველოზე არაა დამოკიდებული, ბიზნესის განვითარების და, მით უმეტეს, თანამედროვე ტექნოლოგიურ სამყაროში ეკონომიკის ინოვაციური ჩამორჩენა, ასევე რამდენიმე სხვა მაჩვენებლით, მათ შორის ფინანსური სახსრების ნაკლებად მისაწვდომობის, საკუთრების უფლების დაცვის, სოფლის მეურნეობაში გაწეული ხარჯის ოდენობის მიხედვით ბოლო ადგილები, ქვეყნის ეკონომიკის არასიჯანსაღეს მიანიშნებს.

ამის თქმის უფლებას ასევე ფრაიზერის ინსტიტუტის მიერ „ეკონომიკური თავისუფლება მსოფლიოში — 2012“ ყოველწლიური ანგარიშის მონაცემები გვაძლევს, რომელიც, აგრეთვე, მსოფლიოს 144 ქვეყანაში ჩატარდა. მასში გაკეთებულ დასკვნებს თუ განვიხილავთ, თვალის ერთი გადავლებით უმალ ჩანს, რომ წინა წელთან შედარებით საქართველოში ეკონომიკური თავისუფლების თვალსაზრისით მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა, რაც რეიტინგში 42-ე ადგილის მიჩენით დასტურდება, რომელიც წინა წლის 27-ე ადგილთან შედარებით 15-პუნქტიანი უკან გადადგმული ნაბიჯია. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ სულ რამდენიმე წლის წინათ ამ პარამეტრით პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან მხოლოდ ესტონეთი გვისწრებდა, რომელიც აშშ-ზეც კი უფრო მაღალ საფეხურზეა და მე-14 ადგილი უკავია. ახლა კი პირველობა სამხრეთ კავკასიაშიც დავკარგეთ, რადგან მეზობელი სომხეთში ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი, ექსპერტთა შეფასებით, საქართველოზე მაღალია, სპეციალისტებმა მას 35-ე ადგილი მიუჩინეს.

ფრაიზერის ინსტიტუტის ყოველწლიური ანგარიშის ერთ-ერთი საგულისხმო ნიშანი ისაა, რომ მის ექსპერტთა მიერ შედგენილ რეიტინგებში ბოლო ოთხი წელია სიის № 1 ქვეყანაა **ჰონგ-კონგი,** ბოლო ანგარიშის თანახმად კი მომდევნო ადგილებზე არიან **სინგაპური, ახალი ზელანდია, შვეიცარია, ავსტრალია, კანადა და სხვები.**

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს ათბალიანი სისტემით ექსპერტები რამდენიმე კრიტერიუმს ითვალისწინებენ. კერძოდ, ესენია **მთავრობის სიდიდე,** რაც მის შენახვაზე ხარჯის ოდენობით განისაზღვრება, **საკუთრების უფლების დაცვა და სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი, მართებული მონეტარული პოლიტიკა, ასევე კრედიტების ხელმისაწვდომობა, ბიზნესისა და დასაქმების რეგულაციები.** აღნიშნული კრიტერიუმები, თავის მხრივ, ორმოცზე მეტ ქვეპუნქტს შეიცავენ, ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსიც მათი შეფასებისდა მიხედვით დგინდება.

**ოთარ ტურაბელიძე**

ინფორმაცია



## საბავშვო ბაღები უფასო გახდება

**მუნიციპალურ საბავშვო ბაღებში რაიმე ტიპის გადასახადის შემოღების ამკრძალავი საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტმა პირველი მოსმენით — 89 ხმით 1-ის წინააღმდეგ დაამტკიცა.**

**დეპუტატ თინა ხიდაშელის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს ცვლილებების ასახვას „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და „საქართველოს დედაქალაქის — თბილისის შესახებ“ კანონებში.**

**პროექტის თანახმად, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საქმიანობის ორგანიზება, ასევე სასწავლო-აღმზრდელობითი და სამუშაო რეჟიმის დადგენა თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებად განისაზღვრება. ამასთან, აღნიშნულ დაწესებულებებში გადასახადის, ტარიფის ან რაიმე სხვა საფასურის შემოღება იკრძალება.**

**აღნიშნულ ორ კანონში პირდაპირ იწერება, რომ თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებულ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ძირითად სასწავლო-აღმზრდელობითი და კვებითი მომსახურებისთვის გადასახადის, ტარიფის ან რაიმე სხვა საფასურის შემოღება, აკრძალულია.**

**პროექტის თანახმად, საბავშვო ბაღებში სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი ერთიანი სასწავლო-აღმზრდელობითი სისტემის მოქმედების წესებსა და სამუშაო რეჟიმის დებულებას, საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით საკრებულო დაამტკიცებს.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## 3. მეოთხე ცხოვრების დასაწყისი

**იოზეფ რატცინგერი** თავის პირველ ცხოვრებაში ჩვეულებრივი გერმანელი იყო, ჩვეულებრივ ოჯახში დაიბადა, ჩვეულებრივად სწავლობდა სკოლაში, ჩვეულებრივად მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში, ჩვეულებრივად სწავლობდა უნივერსიტეტში. მერე ცხოვრების ნირი იცვალა და ღვთისმსახურების გზა აირჩია. თავის მეორე ცხოვრებაში იგი ჯერ მღვდელი იყო, მერე — ეპისკოპოსი, ბოლოს — კარდინალი. მესამე ცხოვრება 2005 წელს მისი რომპაპად არჩევით დაიწყო. წესით და ლოგიკით, ეს მისი ბოლო ცხოვრება უნდა ყოფილიყო ამქვეყნად, მაგრამ ბენედიქტე XVI-დ ქცეულმა იოზეფ რატცინგერმა სხვაგვარად განსაჯა, უპრეცედენტო რამ — წმინდა ტახტიდან გადადგომა გადაწყვიტა და იმქვეყნიური ცხოვრების მორჭმით ლოდინს მეოთხე ამქვეყნიური ცხოვრების დაწყება არჩია.

არავის მანამდე მსგავსი გამოცდილება არ ჰქონია. ყოფილა, როგორ არ ყოფილა ისტორიაში ერთი-ორი მიმსგავსებული სიტუაცია, მაგრამ რომპაპობისშემდგომი ცხოვრების თავისებურებების შესახებ არავითარი ინფორმაცია არ არსებობს. ასე რომ, ბენედიქტე XVI-ს თავად მოუწევს მეოთხე ცხოვრების ნირისა და კანონების დადგენა.

— არჩევის მომენტიდან მე სრულად და მთლიანად უფლის განკარგულებაში აღმოვჩნდი. ყველა, ვინც თავს პეტრეს მსახურებად გადადებს, უარს ამბობს პირად ცხოვრებაზე. იგი მუდამ და მთლიანად ეკუთვნის ყველას, მთელ ეკლესიას, — განაცხადა ჯერ კიდევ რომპაპმა ბენედიქტე XVI-მ თავის ბოლო საერთო აუდიენციაზე 27 თებერვალს, — „მუდამ" ამავე დროს ნიშნავს „სამუდამოდ". შეუძლებელია, მე დავუბრუნდე კერძო ცხოვრებას.და ჩემი გადაწყვეტილება, უარი ვთქვა აქტიურ მსახურებაზე, არ ეწინააღმდეგება ამას. მე არ ვუბრუნდები კერძო ცხოვრებას, მოგზაურობებს, შეხვედრებს, კონფერენციებს და ასე შემდეგ. მე არ ვამბობ უარს ჯვარზე, არამედ კვლავაც ჯვარცმული უფლის გვერდით ვრჩები. მე აღარ მექნება ეკლესიის მართვის მორჩილების ძალა, მაგრამ ვრჩები ლოცვის მორჩილებაში. წმინდა ბენედიქტე, რომლის სახელსაც ვატარებ, როგორც რომპაპი, ჩამთვის კარგი მაგალითი იქნება საამისოდ. მან გვაჩვენა ჩვენ ცხოვრების გზა, რომელიც, აქტიური თუ ჭვრეტითი, მთლიანად უფლის სამსახურში დგას."

იმავე დღეს, საერთო აუდიენციის დასრულების შემდეგ სამოციქულო სასახლის კლემენტეს დარბაზში რომპაპი შეხვდა სლოვაკეთის, ბავარიის, სანმარინოსა და ანდორის უმაღლეს ოფიციალურ წარმომადგენლებს.

სლოვაკეთის პრეზიდენტი ივან გაშპაროვიჩი მოთავეობდა სლოვაკეთის ეროვნულ პილიგრიმულ აქციას რომში, რომელიც მოეწყო სლავთა მოციქულების — წმინდა კირილესა და წმინდა მეთოდეს მისიის 1150 წლისთავთან დაკავშირებით. რომპაპის ბოლო საერთო აუდიენციას ამ მიზნით რომში ჩამოსული მრავალი სლოვაკი მორწმუნეც დაესწრო.

რომპაპმა მიიღო მისი მშობლიური ბავარიის პრემიერ-მინისტრი ჰორსტ ზეეჰოფერი მეუღლითურთ. რომპაპთან შესახვედრად და გამოსამშვიდობებლად რომში მისი სამშობლოდან სპეციალურად ჩამოვიდა აგრეთვე ბავარიელთა 400-კაციანი დელეგაცია.

პონტიფიკოსი და ამავე დროს მსოფლიოს ყველაზე პატარა სახელმწიფოს მეთაური შეხვდა ორი სხვა ჯუჯა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს — სან-მარინოს კაპიტან რეგენტებს ტეოდორო ლონფერნინის და დენიზე ბრონცეტის და ერთ-ერთს ანდორის მმართველთაგან — არქიეპისკოპოს ჟოან ენრიკე ვივეს-ი-სესილიას.

ეს გახლდათ ბენედიქტე XVI-ის ბოლო საერთაშორისო ოფიციალური აქტივობა წმინდა პეტრეს მოსაყდრის რანგში.

მეორე დღეს იგი გადადგა.

144 კარდინალი შეიკრიბა მის გასაცილებლად კლემენტეს დარბაზში. ბენედიქტე XVI-მ როგორღაც მოახერხა და ყველა მათგანს პირადად გამოეთხოვა, როგორც რომპაპი. პირადად გამოეთხოვა იგი აგრეთვე ვატიკანის სამსახურთა ხელმძღვანელების უმრავლესობას. რომპაპმა უპასუხა კარდინალთა კოლეგიით დეკანის ანჯელო სოდანოს მიმართვას და განაცხადა რომ მთელი მისი პონტიფიკატის განმავლობაში ისინი ერთად ეძებდნენ ქრისტესა და მისი ეკლესიის მსახურების გზებს.

მან ყველას სთხოვა, ელოცათ იმისათვის, რომ კარდინალთა კოლეგიამ იმოქმედოს, როგორც „ორკესტრმა", რაც აუცილებელია ეკლესიაში ჰარმონიის მისაღწევად. მანამ სანამ თითოეულ დამსწრესთან ცალ-ცალკე ორიოდე სიტყვას გაცვლიდა, რომპაპმა აღნიშნა, რომ თავის ლოცვებში იგი იქნება ყველა მათგანთან, განსაკუთრებით ახალი რომპაპის არჩევის დღეებში.

— მომავალი რომპაპი თქვენს შორისაა, — თქვა მან ბოლოს, — და მას მე ურყევ მორჩილებას და თაყვანისცემას ვპირდები.

პაპის გასაცილებლად რომის დროით 17 საათზე სამოციქულო ტაძრის ეზოში შეიკრიბნენ ვატიკანის დაწესებულებათა თანამშრომლები. მათ შორის, რა თქმა უნდა, იყო ვატიკანის სახელმწიფო მდივანი, კარდინალი ტარჩიზიო ბერტონე, პაპის ვიკარიუსი რომის ეპარქიაში კარდინალი აგოსტინო ვალინი და მრავალი სხვა. დამსწრეთაგან ბევრი ცრემლს ვერ იკავებდა. ერთმა ენამწარე ჟურნალისტმა იხუმრა კიდეც, არა მგონია, ბენედიქტე XVI-ის გარდაცვალებას უფრო მეტი ცრემლი მოჰყოლოდა, ვიდრე მის გაცილებას მოჰყვაო.

რომპაპმა დამსწრენი აკურთხა და შემდეგ მისი კორტეჟი პირადი მდივნის, გეორგ გენსვაინის თანხლებით ვატიკანის ჰელიპორტისაკენ გაემართა. რომპაპი ვერტმფრენამდე შვეიცარიელმა გვარდიელებმა მიაცილეს და აქ მათი უფლებამოსილება ახალი რომპაპის არჩევამდე შეჩერდა. შვეიცარიელ გვარდიელთა მოვალეობა რომპაპის პირადი დაცვის უზრუნველყოფაა. ხოლო ბენედიქტე XVI-ის უსართხოებას ამიერიდან ვატიკანის პოლიცია დაიცავს. რომის დროით 17 საათსა და 07 წუთზე რომპაპის ვერტმფრენი მიწას მოსწყდა, ვატიკანის თავზე წრე შემოხაზა და კასტელ-განდოლფოსკენ გასწია. ამ მომენტში წმინდა პეტრეს ბაზილიკაში ზარები გაბმულად რეკდნენ, ხოლო მოედანზე შეკრებილი ხალხი სულგანაბული და ცრემლმორეული შეჰყურებდა ვერტმფრენს.

ვატიკანის პრესმდივნის, მამა ფედერიკო ლომბარდის სიტყვებით, პაპმა თან წაიღო რამდენიმე მოზრდილი ტომი და ერთ-ერთი მათგანი გახლავთ დიდი შვეიცარიელი თეოლოგის, კარდინალ ჰანს ურს ფონ ბალტაზარის „თეოლოგიური ესთეტიკა: მოდელი ბიბლიის პოსტკრიტიკული ინტერპრეტაციისათვის". იეზუიტი მღვდელი ჰანს ურს ფონ ბალტაზარი კარდინალად კი მოიხსენიება, მაგრამ სინამდვილეში მას კარდინალობამდე ორი დღე დააკლდა. 1988 წლის მაისში იოანე-პავლე II-მ გამოაცხადა, რომ 26 ივნისის კონსტისტერიუმზე კარდინალის ქუდს დაახურავდა თანამედროვეობის უდიდეს თეოლოგს, მაგრამ იგი 24 ივლისს, დილის მესისათვის სამზადისისას მოულოდნელად გარდაიცვალა ბაზელში.

ბენედიქტე XVI თავს ფონ ბალტაზარის მოწაფედ და მიმდევრად თვლის, ფილოსოფოსები და ღვთისმეტყველები კი მას შვეიცარიელი მღვდლის მემკვიდრედ და გზის გამგრძელებლად მიიჩნევენ. მართლაც, ბენედიქტე XVI უდიდესი თეოლოგია და ასეთადაც შევა იგი კათოლიკური ეკლესიის ისტორიაში.



ბენედიქტე XVI და გეორგ გენსვაინი

მომავლის ისტორია — ისტორიად, ხოლო იმ დღეს ის ვერტმფრენი რომპაპთა საზაფხულო რეზიდენციაში — კასტელ-გონდოლფოში დაჯდა. აქ, სამოქიცულო სასახლის წინ მას მრავალი მორწმუნე ელოდებოდა. ვერტმფრენიდან გადმოსვლისთანავე ჯერ კიდევ პონტიფიკმა დამხვდურთ მოკლე სიტყვით მიმართა და მადლობა გადაუხადა თანალმობისა და სიყვარულისათვის. მან აქ თავისთავს პილიგრიმი უწოდა, რომელიც თავის ბოლო მომლოცველობას იწყებს დედამიწაზე. ამავე დროს დალოცა დამსწრენი და განაცხადა, რომ მთელი დარჩენილი ძალებით კვლავაც გააგრძელებს მსახურებას ეკლესიისა და მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

რომპაპის ახალი, პოსტპონტიფიკური ცხოვრება სატელევიზიო ახალი ამბების ყურებით დაიწყო. ახალი ამბები კი მის გადადგომას შეეხებოდა. არავინ იცის, დაეუფლა თუ არა ბენედიქტე XVI-ს ისეთი განცდა, თითქოს საკუთარ დაკრძალვას ესწრებოდა, ის კი ცნობილია, რომ იგი კმაყოფილი დარჩენილა ჟურნალისტების ნამუშევრით.

— რომპაპს იმ ღამეს კარგად ეძინა, — განუცხადა მეორე დღეს ჟურნალისტებს მამა ფედერიკო ლომბარდიმ და გვიანღა შენიშნა, რომ გადამდგარი რომპაპი კვლავ ძველი სახელით მოიხსენია.

ფედერიკო ლომბარდიმ ჯერ კიდევ 26 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე აცნობა ჟურნალისტებს, რომ გადადგომის შემდეგ რომპაპი შეინარჩუნებს სახელს — „მისი უწმინდესობა ბენედიქტე XVI" და მისი ტიტული იქნება „რომპაპი პენსიაზე" ანუ „გადამდგარი რომპაპი" ანუ „რომპაპ-ემერიტუსი". იმავე პრესკონფერენციაზე ცნობილი გახდა, რომ გადამდგარი რომპაპი ივლის თეთრ, უბრალო შესამოსელში პელერინის გარეშე; ამასთან, იგი ვეღარ ჩაიცვამს რომპაპის წითელ ფეხსაცმელს და ვეღარც რომპაპის ძალაუფლების სიმბოლოს — „მეთევზის ბეჭედს" გაიკეთებს ხელზე, რომელიც განადგურდება კამერლენგოსა და კარდინალთა კოლეგიის დეკანის მიერ, როგორც ეს განსაზღვრულია სპეციალური დოკუმენტებით.

მართლაც, 28 თებერვალს, საღამოს 8 საათზე კამერლენგომ და კარდინალთა კოლეგიის დეკანმა, კარდინალებმა ტორჩიზიო ბენტონემ, რომელიც ამავე დროს ვატიკანის სახელმწიფო მდივანია, და ანჯელო სოდანომ ბენედიქტე XVI-ის ოფიციალურ ბეჭედთან ერთად რომპაპის ძალაუფლების ეს სიმბოლოც გაანადგურეს და ამ აქტით ბენედიქტე XVI-ის პონტიფიკატი საბოლოოდ დასრულდა, ხოლო კამერლენგოს ფუნქციები აქტიურ ფაზაში შევიდა. კამერლენგო რომპაპის კარზე დაახლოებით იგივეა, რაც რეგენტი მონარქიაში. ვაკანტური ტახტის პერიოდში კამერლენგო ერთდროულად ასრულებს წმინდა ტახტის სუვერენის და ქალაქ-სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობებს. მანამდელი ფუნქციები მას ბენედიქტე XVI-მ თავისი გადადგომით შეკვეც-შეუმსუბუქა და ბეჭდების განადგურებაღა დაუტოვა. ჩვეულებრივ, სწორედ კარდინალ-კამერლენგოს ევალება, დაადასტუროს რომპაპის გარდაცვალება. ამისათვის იგი სამჯერ უკაკუნებს ვერცხლის პატარა ჩაქუჩს გარდაცვლილ რომპაპს შუბლზე და სამჯერ მიმართავს ნათლობის სახელით, ხომ არ გძინავსო. შემდეგ კი, რაკი ის არ უპასუხებს, წარმოთქვამს საკრამენტულ ლათინურ სიტყვებს — „**Vere Papa mortus est!**" ვინ იცის, რამდენჯერ გაუმეორებია გუნებაში კარდინალ ბერტონეს თავისი სათქმელი სიტყვები — „იოზეფ, გძინავს?", მაგრამ რეალურად მათი წარმოთქმის აუცილებლობა არ დამდგარა. 28 თებერვალს, 20 საათზე რომის დროით, როცა ვაკანტური ტახტის პერიოდი დაიწყო, როცა მისი აპარტამენტები დაილუქა და შვეიცარიელმა გვარდიელებმა ახალი რომპაპის არჩევამდე რეზიდენცია დატოვეს, ბენედიქტე XVI სასიკვდილო სარეცელის ნაცვლად, კასტელ-გონდოლფოს საზაფხულო რეზიდენციაში იჯდა და კამერლენგოს რიტორიკული კითხვების მაგივრად თავისი გადადგომის შესახებ სატელევიზიო რეპორტაჟს უსმენდა და უყურებდა კიდეც.

მანამდე კი ბენედიქტე XVI-მ რამდენიმე განკარგულება გასცა მომავალ კონკლავთან დაკავშირებით, რომლის მომზადება და ჩატარება ასევე კამერლენგოს ევალება. ვატიკანის ვიცე-კამერლენგომ, არქიეპისკოპოსმა პიერ-ლუიჯი ჩელატამ გამოაცხადა, რომ ყოფილი რომპაპის გადაწყვეტილებით, ახალი რომპაპის არჩევნების საიდუმლოს არგამჟღავნების ფიცს კონკლავის დამსწრე კარდინალთა გარდა დადებს ორი ტექნიკური მუშაკიც, რომლებსაც კონკლავის მიმდინარეობის კონფიდენციალურობის დაცვა და უზრუნველყოფა ევალებათ. ამასთან, იმის გამო, რომ წლევანდელი კონკლავი არ არის დაკავშირებული რომპაპის დაკრძალვასთან და გლოვასთან, ბენედიქტე XVI-მ განაწესა, რომ კონკლავი უფრო ადრე შეიკრიბოს, ვიდრე ეს ჩვეულებრივ არის განსაზღვრული. გარდა ამისა, ამავე მიზეზით რომპაპმა განაწესა, რომ კარდინალთა მსვლელობა წმინდა პავლეს საყდრიდან სიქსტის კაპელამდე უფრო საზეიმო იყოს.

კასტელ-განდოლფოში, ალბანოს ტბის ნაპირზე, რომპაპყოფილი დაახლოებით ორ თვეს დაჰყოფს. ამასობაში ყოფილ ქალთა მონასტერში — მატერეკლესიაში რემონტი დამთავრდება და იგი იქ დაბინავდება, ეს საზაფხულო რეზიდენცია კი მომავალი რომპაპის განკარგულებაში გადავა.

კასტელ-განდოლფოში ჩასულმა ბენედიქტე XVI-მ კი ბოლო ტვიტი დადო ტვიტერზე მისი გვერდის სამი მილიონი მკითხველისათვის:

„მადლობელი ვარ თქვენი სიყვარულისა და მხარდაჭერისათვის. ვისურვებდი, რომ მუდამ განიცდიდეთ სიხარულს, როცა ქრისტე თქვენი ცხოვრების შუაგულში იქნება".

„სედევაკანტეს" ანუ ვაკანტური ტახტის პერიოდში, რომელიც ჩვეულებრივ რომპაპის გარდაცვალებიდან ახალი პაპის არჩევამდე გრძელდება, რომპაპის აკაუნტით ტვიტერში არავინ ისარგებლებს, ხოლო იარსებებს თუ არა იგი შემდეგ, ახალ რომპაპზე იქნება დამოკიდებული. საერთოდ, თუ არ ჩავთვლით ნეტარ იოანე-პავლე II-ს სახელით ფეისბუქზე არსებულ გვერდს, ბენედიქტე XVI პირველი რომპაპია, რომელმაც ინტერნეტის სოციალური ქსელი საკომუნიკაციოდ გამოიყენა.

ამიერიდან იგი კომუნიკაციის ამ საშუალებას მოკლებული იქნება. ისე ჩანს, რომ მისი მეოთხე ცხოვრება საერთოდაც საკმაოდ შეზღუდული, ბერული უნდა იყოს. შვეიცარიელი გვარდიელების, ვატიკანის მრავალი მოსამსახურის, 200-ზე მეტი კარდინალისა და მთელი კათოლიკური სამყაროს ნაცვლად მის გვერდით სულ რამდენიმე ადამიანი იქნება. მათ შორის უმთავრესი ფიგურაა გეორგ გენსვაინი, გერმანელი ტიტულარული არქიეპისკოპოსი, რომელიც რომპაპთან ერთად გადადგა თავისი ყველა თანამდებობიდან, რათა ბენედიქტე XVI-ის სამსახურში დარჩენილიყო. გადამდგარ რომპაპს მის ყოველდღიურ ყოფაში მიეხმარება კათოლიკური საქველმოქმედო საზოგადოება „მემორეს დომინის" წარმომადგენელი ოთხი ქალი. არ არის გამორიცხული, გადამდგარ პაპს კვლავ მოემსახურონ აგრეთვე მონაზვნები როსელა, ლორედანა და კარმელა.

რაც შეეხება გეორგ გენსვაინს, მასზე დღეს ბევრს ლაპარაკობენ. 40 წლისა მაშინ ჯერ კიდევ კარდინალმა იოზეფ რატცინგერმა რწმენის დოქტრინის კონგრეგაციაში მიიწვია, მერე კი, 2003 წელს თავის პირად მდივნად დანიშნა. მალე იგი კანონიკური სამართლის პროფესორი გახდა რომპაპის წმინდა ჯვრის უნივერსიტეტში, ხოლო ორიოდე წლის შემდეგ ნეტარმა იოანე-პავლე II-მ მისი უწმინდესობის კაპელანის ხარისხში აღამაღლა. გარომპაპებიდან ერთი წლის შემდეგ ბენედიქტე XVI-მ იგი მისი უწმინდესობის საპატიო პრელატად გამოარჩია, რამაც ვატიკანოლოგებს აფიქრებინა, რომ გენსვაინი ხანდაზმულ კარდინალ ფრიდრიხ ვეტერს შეცვლიდა, როგორც მიუნხენისა და ფრაიზინგის არქიეპისკოპოსი, მაგრამ ბენედიქტე XVI მას ვერ შეელია და მიუნხენში 2007 წლის დეკემბერში რაინხარდ მარქსი დანიშნა. ხოლო გენსვაინი გასული წლის 7 დეკემბერს რომპაპის კარის პრეფექტად დაადგინა, სულ ახლახან კი, 2013 წლის 6 იანვარს, არქიეპისკოპოსად დაასხა ხელი. ვატიკანში მონსენიორ გეორგ გენსვაინი ცნობილია, როგორც „გეორგ ლამაზი", თავისი გარეგნობისა და მომხიბვლელი ღიმილის გამო. პოპულარულმა იტალიურმა ჟურნალმა „ვენიტი ფეირმა" ამას წინათ მისი ფოტო გარეკანზე დაბეჭდა და „კათოლიციზმის ჯორჯ კლუნი" უწოდა. პრესა მას ჰიუ გრანტსაც ადარებს. კრიტიკოსები კი „შავტყელ ადონისად" მოიხსენიებენ, რაც, რომ არა მის ირგვლივ ნამდვილი კარდინალების სიმრავლე, „რუხ კარდინალის" შესაბამისი იქნებოდა. „რუხი კარდინალი ჰიუ კლუნი" ამ ყველაფერს დიდ ყურადღებას არ აქცევს და მთელ თავის თავისუფალ დროს ჩოგბურთს, თხილამურობას და საავიაციო სპორტს უთმობს.

მომავალი კონკლავის მონაწილე ზოგიერთი სამხრეთამერიკელი კარდინალი ფიქრობს, რომ არ არის გამორიცხული, კონკლავმა მეტისმეტად არაორდინალური გადაწყვეტილება მიიღოს და რომპაპად არა კარდინალი, არამედ არქიეპისკოპოსი აირჩიოს. წესით, არათუ არქიეპისკოპოსი, რომპაპად შეიძლება რიგითი კათოლიკეც იქნას არჩეული. თუმცა ნაკლებსავარაუდოა, რომ 28 იტალიელმა კარდინალმა წმინდა ტახტამდე მიუშვას ზედიზედ მეორე გერმანელი და თანაც „მხოლოდ" არქიეპისკოპოსი, რატომღაც მგონია, რომ სამხრეთამერიკელთა ვარაუდის გამართლების შემთხვევაში ყველაზე მეტი შანსი სწორედ გენსვაინს უნდა ჰქონდეს,

ვინ იცის, იქნებ ბენედიქტე XVI-ის გადადგომის ერთ-ერთი ერთი (წინა)პირობა ისიც იყო, რომ დღეს გარკვეული წრისათვის უკვე ცნობილია მომავალი რომპაპის ვინაობა. არც ის იცის ვინმემ, თავისი განცხადებების მიუხედავად, როგორ ჩაერევა (წინა)საარჩევნო პროცესში გადამდგარი რომპაპი, თუმცა იგი კონკლავში უშუალოდ არ მონაწილეობს და აღარც კარდინალთა კოლეგიის წევრია. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ბენედიქტე XVI, რომელიც დღეს რომის საპატიო მთავარეპისკოპოსის ტიტულით მოიხსენიება, რიგითი იერარქი ვეღარ იქნება, ეს კი არაერთ სიურპრიზისთვის განაწყობს საქმეში მეტ-ნაკლებად ჩახედულ ხალხს.

წარმოიდგინეთ, ნაცვლად იმისა, წმინდა პეტრეს ტაძარში განისვენებდეს, ბენედიქტე XVI შედის წმინდა პეტრეს ბაზილიკაში და მისი მომდევნო რომპაპის წირვას ესწრება! ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეხვდებიან ამ დროს მას მისი „კოლეგა" კარდინალები თუ მართლა რიგითი მლოცველები ან კიდევ უფრო რიგითი ტურისტები! ბენედიქტე XVI-ს თავისი გადაწყვეტილებით დროის მანქანა არ შეუქმნია, მაგრამ მისი გადადგომით გამოწვეული ეფექტი კი სწორედ დროის მანქანისას ჰგავს. თითქოს რომპაპი იმქვეყნიური სამყაროდან დაბრუნდა, თითქოს მან მომავლიდან დაიწყო აწმყოს ყურება და შეფასება. ასეთი შესაძებლობა იშვიათად ვინმეს მისცემია — საკუთარი თვალით ნახოს, რა ხდება მისი სიკვდილის შემდეგ. ახლა იმ მომდევნო რომპაპის მდგომარეობაც წარმოიდგინეთ, როცა მას ყოფილი პაპი მიეახლება ხელზე სამთხვევად!

**პაატა ნაცვლიშვილი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## აწმყო და პერსპექტივა

# ონიშჩენკო: რუსეთში ქართული ღვინის 200 სახეობა დაბრუნდება

**რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობა მზად არის, დაუშვას რუსეთის ბაზარზე ღვინის 200 სახეობა, აგრეთვე მინერალური წყალი საქართველოდან. თბილისი ამაში „ნორმალურ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა“ აღდგენის ნიშანს ხედავს.**

იმისთვის, რომ დაბრუნდნენ ბაზარზე, ქართული ღვინოები დარეგისტრირებული უნდა იყვნენ რუსეთის რეესტრში. რუსეთის მთავარმა სანიტარიულმა ექიმმა გენადი ონიშჩენკომ ოთხშაბათს „რია ნოვოსტის“ უთხრა, რომ ამ სიაში მოხვდებიან ღვინოები, რომლებიც „აკმაყოფილებენ რუსეთის მხარის მოთხოვნებს“. მისი მონაცემებით, საქართველოში დაახლოებით ღვინის ორასი ასეთი სახეობაა.

გადაწყვეტილების მიღებას რეგისტრაციის შესახებ უწყება შემდეგი კვირისთვის აპირებს. თუ ექსპორტიორები წარმატებით გაივლიან რეგისტრაციას, მიწოდება, ონიშჩენკოს სიტყვებით, შეიძლება დაიწყოს უკვე მარტ-აპრილში.

ექსპერტების აზრით, ქართული ღვინის დაბრუნება რუსეთის ბაზარზე გადააწყდება ახალ სირთულეებს.

### პირველი ეტაპი

**ამჟამად რუსეთსა და საქართველოს შორის არ არის არც სავაჭრო, არც დიპლომატიური ურთიერთობანი, მაგრამ ღვინის მიწოდების განახლების შემდეგ თბილისს აქვს სიტუაციის გაუმჯობესების იმედი.**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით კირვალიძემ ტელეარხ „რუსთავი-2“-თან მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ქართული ღვინისა და მინერალური წყლების დაბრუნება რუსეთის ბაზარზე გახდება „მხოლოდ პირველი ნაბიჯი ჩვენს დიდ მეზობელთან ნორმალური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენის გზაზე“.

მან განაცხადა, რომ 18 მარტს საქართველოს მხარეს განზრახული აქვს მოლაპარაკება რუსეთის სასოფლო-სამეურნეო ზედამხედველობასთან ქართული ხილის, ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდებათა განახლების საკითხებზე.

ქართული მხარე გვპირდება, რომ ღვინო უკეთესი გახდება. „თუ 2005 წელს, ქართულ ღვინოზე ემბარგოს დაწესების წინ, რუსეთის ბაზარზე იგი გაიყიდა 89 მილიონ დოლარზე, ამჟამად ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ არა ოდენობასა და ციფრებზე, არამედ პროდუქციის ხარისხზე“, — თქვა კირვალიძემ.

მინისტრმა მიუთითა, რომ საქართველოში აქტიურად მუშაობენ იმაზე, რომ არ დაუშვან ღვინის ფალსიფიკაცია.



### მრავალსაფეხურიანი შემოწმება

**ქართული ღვინის რუსეთში მალე დაბრუნების პერსპექტივა განიხილეს თებერვლის დასაწყისში. განცხადება აკრძალვის შესაძლო მოხსნის შესახებ გააკეთა რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის ხელმძღვანელმა გენადი ონიშჩენკომ.**

თებერვლის ბოლოს რუსეთმა ქართული ღვინისა და მინერალური წყლის მწარმოებელთა შემოწმებისთვის საქართველოში გაგზავნა რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის ექსპერტები.

სპეციალისტებს უნდა მოენახულებინათ 45 საწარმო 87-დან, რომლებსაც სურდათ, მიეწოდებინათ თავიანთი პროდუქცია რუსეთის ბაზრისთვის.

ექსპერტები საქართველოდან 1 მარტს დაბრუნდნენ. ონიშჩენკომ განაცხადა, რომ ინსპექტორები მთლიანად კმაყოფილი არიან ნანახით. ამჟამად რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობა ამზადებს მეორე გასვლას საქართველოში, რათა შეამოწმონ დარჩენილი საწარმოები.

ქართული ღვინისა და მინერალური წყლის „ბორჯომის“ ექსპორტი საქართველოდან შეწყდა 2006 წელს. ოფიციალურ მიზეზად ასახელებდნენ პროდუქციის დაბალ ხარისხს, მაგრამ ზოგიერთმა ექსპერტმა რუსეთის ემბარგოში პოლიტიკური მოტივები დაინახა.

### 400 რუბლამდე ერთ ბოთლში

**რუსეთში ქართული ღვინის გზა, ალკოჰოლის ფედერალური და რეგიონალური ბაზრების კვლევის ცენტრის დირექტორის ვადიმ დრობიზის აზრით, ეკლიანი იქნება.**

„ლოიალობა პროდუქციისადმი შენარჩუნებულია, მაგრამ თუ 2005 წელს ქართული ღვინის 70 პროცენტი შემოდიოდა რუსეთში ფასად: ერთ ბოთლში 150-200 რუბლი, რაც უკვე მაშინ ძვირი იყო რუსეთისთვის, ახლა იგი მოხვდება საფასო სეგმენტში 250-დან 400 რუბლამდე ერთ ბოთლში“, — განაცხადა მან.

ასეთ ფასად, ექსპერტის სიტყვებით, ქართული ღვინის შესყიდვის საშუალება ექნება რუსეთელთა მხოლოდ ვიწრო წრეს — „მოქალაქეთა არაუმეტეს 10 პროცენტისა“. ამ სეგმენტში ქართულ ღვინოს, დრობიზის სიტყვებით, მოუწევს კონკურენცია სხვა ქვეყნების პროდუქციასთან, ისეთებისა, როგორებიცაა ჩილე და საფრანგეთი, რომლებიც რუსეთის ბაზრიდან არ წასულან.

„საკითხი არ შეეხება მოცულობის აღდგენას, თუმცა, ეს არც დამარცხებას ნიშნავს რუსეთის ბაზარზე. 2005 წელს რუსეთში შემოდიოდა დაახლოებით 50 მილიონი ბოთლი ქართული ღვინო, თუ 2015 წლამდე დონე აიწევს 10 მილიონამდე წელიწადში, მე ამას გამარჯვებად მივიჩნევდი“, — ამბობს იგი.

დრობიზი დარწმუნებულია, რომ „ღვინის აკრძალვის“ მოხსნით დაიწყება რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობათა აღდგენაც. რუსეთი და საქართველო ამჟამად ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრები არიან და, საერთაშორისო ვალდებულებებით, რუსეთმა თავის ბაზარზე უნდა დაუშვას ქართული პროდუქცია, შეგვახსენებს ექსპერტი.

BBC RUSSIAN.com

# რუსეთში ქართული ღვინის კვალდაკვალ შეიძლება დაბრუნდეს ხილი და ბოსტნეული

## რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის ექსპერტები თბილისში ახალ საინსპექციო გამგზავრებას ამზადებენ

**რუსეთმა თავის ბაზარზე დაუშვა ქართული ალკოჰოლის 36 მწარმოებელი და 4 კომპანია, რომლებიც აწარმოებენ მინერალურ წყალს, 93-დან, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი, მიაწოდონ თავიანთი პროდუქცია. ისინი, ვინც გაიარა სერტიფიკაცია, უკვე ამ კვირაში დაიწყებენ დოკუმენტაციის წარმოდგენას რეგისტრაციისთვის მოსკოვში, განუცხადა ჩვენს გაზეთს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ლევან დავითაშვილმა. სულ პირველი ინსპექციის ფარგლებში შემოწმდა 42 საწარმო. კიდევ 40 საწარმოში მივლენ რუსი ინსპექტორები მეორე ინსპექციის ფარგლებში, რომელიც 26 მარტს გაიმართება. დანარჩენები თავიანთ რიგს დაელოდებიან.**

— ვერდიქტს შეიძლება ობიექტური ვუწოდოთ, — თქვა დავითაშვილმა. — რაც შეეხება იმ კომპანიებს, რომლებსაც რუსმა ექსპერტებმა ჯერ არ მისცეს მიწოდების უფლება, ერთმა უნდა გაიაროს ტექნიკური გადაიარაღება, მეორემ — დაადასტუროს იმ კერამიკულ მოცულობათა უსაფრთხოება, რომლებშიც ასხამენ ალკოჰოლს.

მისი სიტყვებით, ქართული კომპანიების რუსეთში მიწოდების განცხადებათა რეგისტრაციისთვის გამოყოფილია ერთი თვე. ლევან დავითაშვილმა ასევე განაცხადა, რომ 25 მარტს საქართველოში ჩამოდის რუს შემმოწმებელთა მეორე ჯგუფი.

— იგი შეამოწმებს კიდევ დაახლოებით 40 საწარმოს, — გვაცნობა მან. — ვფიქრობ, რომ ექსპორტს ერთობლივად დაიწყებს ყველა კომპანია, რომლებიც მთლიანად მიიღებენ ამის ნებას. ესე იგი, მიწოდებებს რუსეთში, რაც შეწყდა ემბარგოთი 2006 წელს, განვაახლებთ მაისის ბოლოს.

დავითაშვილს მიაჩნია, რომ პირველი წლის განმავლობაში საქართველოს შეეძლება, გაყიდოს რუსეთში 8-დან 10 მილიონამდე ბოთლი ღვინო, ეს დაახლოებით 4-ჯერ უფრო ცოტაა, ვიდრე ემბარგომდე იყო.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით კირვალიძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ კმაყოფილია რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის გადაწყვეტილებით.

— დაგეგმილი გვაქვს 18 მარტს გავგზავნოთ მოსკოვში დელეგაცია ხილისა და ბოსტნეულის მიწოდების განახლებაზე მოლაპარაკებისთვის, — დაუმატა მან.

საქართველოს ჯგუფს უხელმძღვანელებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასმელების ეროვნული სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურიშვილი.

— კარგი ახალი ამბავია, დავიწყებთ მუშაობას, — განუცხადა გამოცემას სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილის“ მთავარმა ტექნოლოგმა დავით აბზიანიძემ. ეს კომპანია სახელგანთქმულია კონიაკებით.

ქართული ალკოჰოლისა და მინერალური წყლის რუსეთში მიწოდების მალე განახლების შესახებ 6 მარტს დილით განაცხადა რუსეთის მთავარმა სახელმწიფო სანიტარიულმა ექიმმა გენადი ონიშჩენკომ.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**შოიგუს ვიზიტმა ვიეტნამში აღძრა ხმები კამრანში რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზის აღორძინების შესახებ**

თავად ვიზიტი დაიწყო კამრანის ზღვის უბის დათვალიერებით. მაგრამ სამხედრო-საზღვაო ფლოტი ანონიმურად ამტკიცებს, რომ მოლაპარაკება ბაზის აღდგენასთან დაკავშირებით არ მიმდინარეობს. ამავე დროს მოსკოვმა და ჰანოიმ მოილაპარაკეს სამხედრო თანამშრომლობის, მათ შორის წყალქვეშა თანამშრომლობის, აქტივიზაციის შესახებ.

* * *

**მთებში გზააბნეული მოზარდი გადარჩა, ის ითვალისწინებდა რჩევებს ტელეშოუდან ექსტრემალებისთვის**




17 წლის მოთხილამურემ გადაუხვია ტრასიდან იმ მოსაზრებით, რომ შეამცირებდა გზას, მაგრამ გზა აებნა. ორი დღე-ღამის განმავლობაში ის ეძებდა ადამიანების კვალს, ღამეს ათევდა პატარა კუთხეებში, რომელსაც აგებდა თოვლისგან და მაღლიდან წიწვიანი ტოტებით ხურავდა. მთელი ეს პერიოდი ის სვამდა მხოლოდ წყალს ადგილობრივი წყაროდან. როდესაც, როგორც იქნა გამოვიდა ტრასაზე, იგი მაშველმა აიყვანა. ექიმების სიტყვებით, მოზარდი ჯანსაღადაა.

* * *

**ლუქსორის თავზე აფეთქებული საჰაერო ბუშტის შემდეგ გადარჩენილმა მფრინავმა დაასახელა 19 კაცის დაღუპვის მიზეზი**



ეგვიპტელის აღიარებით, რომელიც ბურთს მართავდა, მოხდა გაზის გადინება. ის ცდილობდა, გადაეკეტა გაზის მიწოდების ვინტილი, რომელსაც ცეცხლი ჰქონდა მოდებული, მაგრამ ვერ შეძლო ამის გაკეთება და გადმოხტა ბურთიდან. მფრინავის გარდა, რომელმაც სხეულის 70 პროცენტის დამწვრობა მიიღო, გადარჩა აგრეთვე დიდი ბრიტანელი ტურისტი. კომპანია-ოპერატორმა განაცხადა, რომ დაღუპულთა ოჯახებს გადაუხდის კომპენსაციას 1,2 მილიონი დოლარის ოდენობით.

* * *

**აქლემები უდაბნოში კანადის არქტიკიდან მოვიდნენ, მიაჩნია მეცნიერთა ჯგუფს**

იმ რეგიონში 3,5 მილიონ წლის წინათ ცხოვრობდნენ უზარმაზარი ერთკუზიანი აქლემები, რომლებიც ამჟამინდელ მემკვიდრეებზე ერთი-მესამედით დიდები იყვნენ. ამის დადგენა შეძლო პალეონტოლოგების ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ოტავის ბუნებათმცოდნეობის მუზეუმის მკვლევარი ნატალია რიბჩინსკი.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## სტუმრად სამშობლოში



# მინისტრი ფიგურულ მოციგურავეებს შეხვდა

**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტ მაკა გიორგობიანსა და თბილისში რამდენიმე დღით ჩამოსულ ოთარ ჯაფარიძის და ანგელინა ტელეგინას წყვილს შეხვდა.**

ჯაფარიძემ და ტელეგინამ საქართველოს სახელით პირველად იანვრის მიწურულს, ხორვატეთის დედაქალაქ ზაგრებში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზეს, სადაც მე-20 ადგილი დაიკავეს.

წყვილი მზადებას ამერიკის შეერთებულ შტატებში განაგრძობს ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ევგენი პლატოვის მეთვალყურეობით.

სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრება ჯაფარიძე-ტელეგინას დუეტს სექტემბერში გერმანიაში ელის, სადაც ობერსტდორფის საერთაშორისო ტურნირზე 2014 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიები გათამაშდება. სოჭის საგზურს ტურნირზე საუკეთესო ხუთეულში გასული ფიგურული მოციგურავეები მიიღებენ.

ოლიმპიადის ლიცენზიას უკვე ფლობს ელენე გედევანიშვილი, რომელიც 12-17 მარტს კანადის ქალაქ ლონდონში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატზე მიიღებს მონაწილეობას.

მინისტრთან გაცნობით შეხვედრაზე, რომელსაც მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძეც ესწრებოდა, საუბარი იყო წყვილის სამომავლო გეგმებისა და ოლიმპიური თამაშებისათვის სამზადისის შესახებ.

**როსტომ რაჭველიშვილი**

## ფარიკაობა

# ბუდაპეშტში საქართველოს ჰიმნი აჟღერდა

**უნგრეთის დედაქალაქში დასასრულს უახლოვდება ახალგაზრდა მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატი. პირად პირველობაში სამი ქართველი მოხმალავე ცდიდა ძალებს. შესანიშნავად იასპარეზა 19 წლის სანდრო ბაზაძემ (მწვრთნელი მერაბ ბაზაძე), რომელმაც ქართული ფარიკაობის ისტორიაში პირველად ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა:** ჯგუფში მან ხუთი მეტოქე დაამარცხა – ალესანდრო რიკარდო (იტალია), პანჩო პაშკოვი (ბულგარეთი), სებასტიან ბრიგსტრუპი (დანია), საბირ ზეინალოვი (აზერბაიჯანი), იაკუბ ოჩინსკი (პოლონეთი) და მხოლოდ ერთადერთი პაექრობა დათმო ბელარუს ანტონ დავიძენკასთან. პლეი ოფში კი იგი ფინალამდე იოლად გაუსწორდა მეტოქეებს: სტარტზე მასპინძელი მარტინ სინგერი დაჯაბნა – 15:7, მერე ბელარუს სიარჰეი კისელს დააყრევინა ფარ-ხმალი – 15:4, ძალების დაუძაბავად ჩამოიშორა გზიდან ვიაჩესლავ ისკანდაროვი (რუსეთი) – 15:10, ნახევარფინალში ახალგაზრდებს შორის რუსეთელ მსოფლიოს ჩემპიონ კამილ იბრაგიმოვს აჯობა – 15:11. გადამწყვეტ პაექრობაში ბაზაძე უკრაინელ კონსტანტინ ვორონოვს შეხვდა. ორთაბრძოლა დრამატულად წარიმართა: თავიდან ბოლო ჩხვლეტამდე უკრაინელი იყო წინ. როცა ანგარიში გახდა 14:11 ვორონოვის სასარგებლოდ, მოხდა სასწაული, რომლის მსგავსი, ალბათ, იშვიათად ხდება – სანდრო ბაზაძემ ზედიზედ 4 ჩხვლეტა მიაყენა მეტოქეს და 15:14 გაიმარჯვა, რამაც ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი მოუტანა.

ქართულ საფარიკაო სკოლას სახელოვანი მუშკეტერები არასდროს ჰკლებია: ოლიმპიური ჩემპიონები არიან ნუგზარ ასათიანი და ვლადიმერ აფციაური, ოლიმპიური თამაშების ორი ბრინჯაოს მედლის მფლობელია ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი გურამ კოსტავა, მსოფლიოს ჩემპიონობა აქვთ მოპოვებული ნუგზარ ასათიანს, ვლადიმერ აფციაურსა და იური ოსიპოვს, ახალგაზრდებში – ნიკოლოზ ანდრიაძეს და გურამ ლორთქიფანიძეს. მათს რიგებს შეემატა ევროპის პირველი ჩემპიონი სანდრო ბაზაძე.



ბუდაპეშტში კიდევ ორმა ქართველმა მოხმალავემ იასპარეზა: კადეტებში 2010 წლის მსოფლიოს პირველობის მესამე პრიზიორმა მიხეილ მარდალეიშვილმა ჯგუფში ექვსიდან ოთხი ორთაბრძოლა მოიგო, მაგრამ პლეი ოფში გერმანელ რუვენ რედვანზთან დამარცხდა და 22-ე ადგილს დასჯერდა. 23-ე იყო საბა სულამანიძე.

**ქართველი მოხმალავენი დღეს გუნდური მედლებისთვის იბრძოლებენ.**

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: სანდრო ბაზაძე.**
**ვაჟა დანელიას ფოტო.**

## მთელი ხმით

# საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პოზიცია საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ეცნობება

**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ჭიდაობის ფედერაციის პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტების შეკითხვებს მინისტრის მოადგილემ თამაზ თევზაძემ, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ და ვეტერანმა და მოქმედმა მოჭიდავეებმა უპასუხეს.**

პრესკონფერენციის თემა 19-24 მარტს თბილისში გასამართი ევროპის ჩემპიონატი და 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით ჭიდაობის შესაძლო ამოღება იყო.

ჭიდაობის ფედერაციამ სპეციალური მიმართვა შეიმუშავა, რომელსაც საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს გაუგზავნის. მიმართვას 33 ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი აწერს ხელს.

ჭიდაობის ფედერაცია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებს საკითხის განხილვისას საქართველოს, როგორც სპორტის ამ სახეობაში მდიდარი ტრადიციების მქონე ქვეყნის მოსაზრების და მხარდაჭერის გათვალისწინებას სთხოვს.

## საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მიმართვა

**საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია შეშფოთებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOK) აღმასრულებელი კომიტეტის განცხადებით, რომლის საფუძველზეც 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშებიდან შესაძლებელია ამოღებული იყოს ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობა.**



ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობა სპორტის იმ ერთეულ სახეობათა რიცხვს განეკუთვნება, რომელიც მუდმივად შედიოდა ანტიკური და თანამედროვე ოლიმპიადების პროგრამაში.

განუზომელია სპორტის ამ სახეობების წვლილი ოლიმპიური თამაშების პოპულარიზაციის, ოლიმპიური ფასეულობებისა და ღირებულებების დამკვიდრების საქმეში.

აქვე განვმარტავთ, რომ ის ნაკლოვანებები და შეცდომები, რომლებმაც წლების განმავლობაში თავი მოიყარა ჭიდაობაში, როგორც ოლიმპიურ სპორტის სახეობაში, აღმოსაფხვრელია და იმედს ვიტოვებთ, რომ ჭიდაობის მსოფლიო საზოგადოება შეძლებს ამ სირთულეებთან გამკლავებასა და სასიკეთო ცვლილებების განხორციელებას.

მოგმართავთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებს, საკითხის განხილვისას გაითვალისწინოთ საქართველოს, როგორც სპორტის ამ სახეობაში მდიდარი ტრადიციების მქონე ქვეყნის ეროვნული ფედერაციის მოსაზრება და მხარდაჭერა.

**მანუჩარ გიორგაძე**

## ჭადრაკი

# ისევ რუსები და ჩინელები



**ასტანაში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის მე-3 ტურში საქართველოს ნაკრები საფრანგეთს შეხვდა. პირველ დაფაზე ნანა ძაგნიძემ სოფი მილე დაამარცხა, არადა, 18 სვლის შემდეგ ქართველ დიდოსტატს უარესი პოზიცია ჰქონდა. ჩვენებურს მეტოქის უხეშმა შეცდომებმა შეუწყო ხელი.**

ორმხრივი შეცდომებით იყო აღსავსე ლელა ჯავახიშვილისა და საფრანგეთში გათხოვილი ქართველი დიდოსტატის – ნინო მაისურაძის პაექრობა, თუმცა ჯავახიშვილმა უფრო ზუსტად ითამაშა და 38-ე სვლაზე გაიმარჯვა. მესამე ქულა ჩვენს ნაკრებს სალომე მელიამ მოუტანა – თეთრი ფიგურებით ნატაშა ბენმეშბახს სძლია. ნინო ხურციძესაც უნდა მიეღწია წარმატებისთვის, რადგან შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანდა, რომ ნინოს სილვია კოლასთან 58-ე სვლისთვის მოსაგები პოზიცია ჰქონდა, მაგრამ ორი უზუსტო სვლით მეტოქეს ამოსუნთქვის საშუალება მისცა და 77-ე სვლაზე ისინი დაზავდნენ. საბოლოოდ 3,5:0,5 ჩვენების სასარგებლოდ.

შეჯიბრების რეიტინგფავორიტმა **უკრაინამ ყაზახეთს 2,5:1,5** აჯობა (გულისკან ნახბაიევა – კატერინა ლაგნო 0:1, ანა უშენინა – გულმირა დაულეტოვა 0,5:0,5, მადინა დავლეტბაიევა – ნატალია ჟუკოვა 0:1, ინა იანოვსკა-გაპონენკო – ჟანსაია აბდუმალიკი 0:1). **ჩინეთი – აშშ 3,5:0,5** (ცზიუ ვენძიუნი – ანა ზატონსკიხი 1:0, ირინა კრუში – ჰუან ძიანი 0,5:0,5, თან ჟონი – თათევ აბრაჰამიანი 1:0, საბინა ფოიშორი – შენ იანი 0:1), **თურქეთი – რუსეთი 0:4** (ბეთულ ილდიზი – ალექსანდრა კოსტენიუკი 0:1, ნატალია გუნინა – კუბრა ოზთურქი 1:0, კარდელენ კემხანი – ალისა გალიამოვა 0:1, ოლგა გირია – კემილ კაია 1:0). **რუმინეთი – ინდოეთი 2:2** (ადელა ქრისტინა ფოიშორი – ეიშა კარავადე 0,5:0,5, ნიშა მოჰოტა – ირინა ბულმაგა 0:1, ელენა კოსმა – მერი გომესი 0,5:0,5, სვამინათან სოუმია – ალინა ლამი 1:0).

სამი ტურის შემდეგ 6-6 ქულით რუსეთი (საერთო მონაგარი 10,5) და ჩინეთი (10) ლიდერობენ. მომდევნო ადგილებზე არიან: უკრაინა – 5 (7,5), საქართველო – 4 (7,5), ინდოეთი (5,5), აშშ (5) – 3-3, რუმინეთი – 2 (4,5), ყაზახეთი – 1 (4,5), თურქეთი (2,5), საფრანგეთი (2,5) – 0 ქულა.

**ლაშა დიდია**

## ჩემპიონთა ლიგა

# ვაი მსაჯისაგან

**თურქი მსაჯი ჩაკირი 36 წლისაა, მაგრამ საფეხბურთო სამყაროში უკვე შეუბღალავი ავტორიტეტით სარგებლობს.**

მან ფიფა-უეფას მაღალჩინოსანთა ნდობა პროფესიონალიზმითა და ობიექტურობით დაიმსახურა, თუმცა, თანატოლთა მსგავსად, ისეთი რაღაც აკლია, რაც ადრე თუ გვიან აუცილებლად იჩენს თავს. უფრო სწორად, იჩინა, თანაც ისეთ შეხვედრაში, მთელი მსოფლიო რომ გამადიდებელი ლუპით ადევნებდა თვალს.

**ესაა გამოცდილების დეფიციტი.**

**„მანჩესტერი“ – „რეალი“ 1:2 (1:0)**
**(პირველი მატჩი – 1:1).**

**გოლები:** რამოსი (საკუთარ კარში; მოდრიჩი, რონალდო).

ულიმღამო პირველი ტაიმის შემდეგ თამაში ახალი განახლებული იყო, როცა ნანის ფლანგურ ჩაწოდებას რამოსის ავტოგოლი მოჰყვა და „სამეფო კლუბის“ მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა.

სერ ალექს ფერგიუსონის გადაწყვეტილების გათვალისწინებით, რომელმაც რუნი სათადარიგოთა სკამზე დატოვა, პორტუგალიელ მოიერიშე



ნახევარმცველს მასპინძელთა ტაქტიკურ სქემაში საკვანძო როლი ენიჭებოდა და, წესით და რიგით, სწორედ მაშინ უნდა ენავარდა მრისხანე მეტოქის გამონთავისუფლებულ სივრცეებში, როცა ეს უკანასკნელი მდევრის როლში აღმოჩნდა, და ძირითადი ყურადღება შეტევაზე გადაიტანა, მაგრამ ხომ გსმენიათ: კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო.

ანგარიშის გახსნიდან რამდენიმე წუთში ბურთისათვის ხისტი ბრძოლის შემდეგ ნანი და არბელოა მოცელილებივით დავარდნენ მოედანზე. ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ ოსმალო შაოსანმა არც აცია, არც აცხელა და წითელი ეშმაკუნები მინდორზე ათნი დატოვა, რითაც, უპირველესად, სპექტაკლი ჩაშალა და გარკვეულწილად განსაზღვრა კიდეც მეოთხედფინალისტის ვინაობა.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მაურინიომ თამაშში მოდრიჩის ჩაზმით მომაკვდინებელი დარტყმა მიაყენა გაოგნებულ კუნძულელებს, რამაც ისეთი მოვლენა დაჩრდილა, როგორიცაა რაიან გიგზის მიერ შთამბეჭდავ კარიერაში ერთადერთი გუნდის მაისურით ჩატარებული მე-1000(!) მატჩი.

**„ბორუსია“ – „შახტარი“ 3:0 (2:2)**

**გოლები:** სანტანა, გიოტცე, ბლაშჩიკოვსკი.

**გიორგი შოთაძე**

## ეროვნული თასი

# მეოთხედფინალისტები ასე დაწყვილდნენ

**სფფ-ის მედიაცენტრში დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედფინალისტთა წილისყრა მოეწყო, რომელმაც მეტოქენი ასე დააწყვილა:**

„გურია“ (ლანჩხუთი) – „დინამო- (თბილისი),

„ჩიხურა“ (საჩხერე) – „დილა“ (გორი),

„მეტალურგი“ (რუსთავი) – „სპარტაკი“ (ცხინვალი),

„ტორპედო“ (ქუთაისი) – „სიონი“ (ბოლნისი).

მატჩები 13 მარტს და 10 აპრილს გაიმართება.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## სანთელი

# ვახტანგ თევზაძე



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ინსტიტუტის ბუნებრივი კატასტროფების განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვახტანგ თევზაძე**.

ვ. თევზაძე დაიბადა 1933 წლის 24 ოქტომბერს ქ. თბილისში. 1952 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის მე-7 ვაჟთა საშუალო სკოლა. 1957 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტი და მიენიჭა ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის კვალიფიკაცია. 1957 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის (დღევანდელი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი) ინსტიტუტში და გაიარა გზა ასპირანტობიდან ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეობამდე.

1968 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1986 წელს კი – სანკტ-პეტერბურგში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1990-93 წლებში კითხულობდა ლექციებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრავლიკისა და ჰიდრომანქანების კათედრაზე და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჰიდრავლიკისა და ჰიდროტექნიკის კათედრაზე, სადაც მას ენიჭება პროფესორის წოდება.

1982-1999 წლებში იგი არჩეულ იქნა ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტთან არსებული ღვარცოფული კომისიის წევრად და თავმჯდომარის მოადგილედ, იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სოფლის მეურნეობის პრობლემათა განყოფილების საბჭოს წევრი (1994 წლიდან), საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მიწათმოქმედების, ეროზიის, მელიორაციისა და ეკოლოგიის დარგში (1995 წლიდან), საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს წევრი (2000 წლიდან), ასევე საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს სალიცენზიო საბჭოს წევრი წყალდიდობების, წყალმოვარდნების, ეროზიულ-ღვარცოფული მოვლენების და მათ წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში ადამიანისა და ბიოსფეროს იუნესკოს ეროვნული კომიტეტის წევრი (2003 წლიდან).

პოსტსაბჭოთა სივრცეში, როგორც ბუნებრივი კატასტროფების დარგის ცნობილი სპეციალისტი, 1973 წელს 1 წლით სტაჟირებით იგზავნება სამეცნიერო მივლინებით იაპონიაში ქვეყნის ეროზიულ-ღვარცოფული მოვლენების გამოცდილების შესასწავლად, 2007 წელს კი – სამეცნიერო მივლინებით ისრაელში, აშშ-ისრაელი-საქართველოს ერთობლივი გრანტის შესრულების მიზნით ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის ახალი ბიოსაინჟინრო მეთოდების შესასწავლად.

ბუნების სტიქიური მოვლენების საკითხებზე საქართველოსა და საზღვარგარეთ მაღალი რეიტინგის ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს 200-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის: 10-მდე მონოგრაფია და 5 გამოგონება. მისი ხელმძღვანელობით დაცული იქნა 10-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომი.

მისი თავდაუზოგავი სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და საექსპერტო საქმიანობა ქვეყნის მიერ აღინიშნა მისთვის ღირსების ორდენის მინიჭებით. იგი ასევე დაჯილდოებული იყო მრავალი დიპლომითა და მედლით. მისი თანახელმძღვანელობით ჩატარდა მრავალი საერთაშორისო და რეგიონალური სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია და სიმპოზიუმი მიძღვნილი სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის საკითხებზე.

ბატონი ვახტანგის ამქვეყნიდან წასვლით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტმა და მთლიანად ქვეყნის ტექნიკურმა ინტელიგენციამ დაკარგა ღვაწლმოსილი დამსახურებული მეცნიერი წყალთა მეურნეობის, გარემოსდაცვის და საინჟინრო ეკოლოგიის დარგში. დასანანია, რომ ჩვენგან წავიდა ღირსეული მასწავლებელი, პროფესიონალი, ძირძველი თბილისელი, გულისხმიერი მეგობარი, ტრადიციული ქართული ოჯახის ერთგული მეუღლე, მზრუნველი მამა და მოსიყვარულე ბაბუა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი**

## სანთელი

# ლია კირილეს ასულ აქბარდიას ნათელ ხსოვნას

ძნელია ამ სტრიქონებში ჩავტიოთ ის უდიდესი მწუხარება, რომელსაც შენი გარდაცვალების გამო განვიცდით არა მარტო შენი სანათესაო, სამეზობლო, თანამშრომლები, სამეგობრო და ნაცნობები, არამედ ისინიც კი, ვისაც ოდესმე სმენია და გაუგონია შენი სახელი და გვარი.

შენი მოულოდნელი გარდაცვალება მეხის გავარდნას ჰგავდა უღრუბლო ცაზე, ამით თავზარდაცემულები შოკში ვართ, ჯერ კიდევ ვერ გამოვსულვართ მდგომარეობიდან.

ძნელია, გვიმძიმს და უფრო გაგვიჭირდება შენზე წარსულში ლაპარაკი, ჩვენო სიყვარულითა და სიკეთით აღსავსე მეგობარო. შენ ყველას მიმართ გამოირჩეოდი სიყვარულით, კეთილშობილებით, უაღრესად თბილი, ყურადღებიანი, რაფინირებული ინტელიგენტი, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, სპეტაკი ადამიანი, პროფესიონალი, სამაგალითო მოქალაქე, სამშობლოზე და ჩვენს მრავალტანჯულ ერზე უზომოდ შეყვარებული. ასე გიცნობენ შენ, ჩვენო დაუვიწყარო ლია.

დასანანია, რომ ასე მოულოდნელად დაესვა წერტილი შენი ცხოვრების გზისსავალს. ვერ ვეგუებით უშენობას, რა უცებ გავიდა 40 დღე. როგორ დაგვაკლდა შენი სითბო, შენი სევდიანი, მაგრამ სიყვარულით სავსე თვალების შემოხედვა. გაგვიჭირდა, უშენოდ ვერ წარმოგვიდგენია ყოფნა. თვალწინ გვიდგას შენი სახე. შენ, შენი განვლილი ცხოვრების გამო დავიწყება არ გიწერია. მუდამ იცოცხლებ ჩვენს გულებში, ჩვენო კეთილო მეგობარო.

დიდი გულისტკივილით გემშვიდობებიან პროფესორ-მასწავლებლები, ყველა თანამშრომელი, შენი მშობლიური ინსტიტუტი, სადაც შენ 1966 წლიდან გარდაცვალებამდე 2013 წლის 27 იანვრამდე დიდი რუდუნებით, უმწიკვლოდ, ღირსეულად ემსახურებოდი მომავალი თაობის აღზრდას.

გემშვიდობებით უდიდესი გულისტკივილით. ღმერთმა ნათელში დაამკვიდროს შენი სული, ამინ!

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ინგლისური ენის კათედრის პროფესორ-მასწავლებლები**

**ჯუმბერ, გოგა ლომინაძეები, გია მახარაშვილი, ზაზა აბაშიძე, ნუნუ, მარინა შაქარაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ირინა ლეონიდეს ასული კალანდაძე**

**პანაშვიდი 7, 8 III, 16 სთ. დაკრძალვა 9 III, 14 სთ. მის. წინამძღვრიშვილის ქ. 7.**

---

**თენგიზ, ქეთინო ქავთარაძეები სამძიმარს უცხადებენ ნელი მეკოკიშვილს, ნოდარ, ოთარ, თორნიკე ფარცხალაძეებს მეუღლისა და მამის, უახლოესი მეგობრის**

**ანზორ ნოდარის ძე ფარცხალაძის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**იზა ჯაჭვაძე, კობა არაბული, ამირან არაბული, ბაღათერ არაბული, გიგლა ჭინჭარაული, სიმონ ბალახაძე, ვახტანგ ჭინჭარაული, ზაქარია არაბული, გოგი ჭინჭარაული, ელზა მეტრეველი, მარინე თექთუმანიძე, მზია ხეთაგური, ომარ თურმანაული, ზაქრო არაბული, მიხა არაბული, ტრისტან მახაური, ზეზვა მედულაშვილი, თემურ ჩალაბაშვილი, პაატა გურგენიძე, ზაზა მეზვრიშვილი, კობა ბედოიძე, ზურაბ გუგუშვილი დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა თბილისის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ნიჭიერი მსახიობი და პოეტი**

**მურთაზ თომას ძე არაბული**

**და სამძიმარს უცხადებენ მის ორ ოჯახს, შვილებს – მინდიას, თორნიკეს და მთლიანად სანათესაოს.**

## ანგარიშგება

### ობოლ ბავშვთა დახმარების ახალგაზრდული ფონდის 2012 წლის ანგარიში

**საქველმოქმედო ორგანიზაცია ობოლ ბავშვთა დახმარების ახალგაზრდული ფონდი 1996 წლის 11 ივნისს დააფუძნა იუსტიციის სამინისტრომ, ხელახალი რეგისტრაცია კი 1998 წელს კვლავ იუსტიციის სამინისტროში გაიარა.**

**ფონდმა განვლილი პერიოდის განმავლობაში მრავალი შესანიშნავი ღონისძიება განახორციელა. 2012 წელს ფონდის მიერ გაშენებულ ხეივანში აღდგომის დღეს პატივი მიაგეს და გაიხსენეს ფონდში აღზრდილი ნინო პალაშვილი და ომში დაღუპული ბიჭები, ასევე ჩატარდა ნინოს შემოქმედებითი საღამო.**

**ფონდს, სამწუხაროდ, წლიური შემოსავალი არ ჰქონია, ვინაიდან ფონდის დირექტორი ვერ გამოვიდა მდგომარეობიდან მისი შვილის მკვლელობის შემდეგ.**

ობოლ ბავშვთა დახმარების
ახალგაზრდული ფონდი

## ყურადღება!

# აქტიური პროცესები მარტში

**მარტში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია 7-13, 17-19, 25 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება, ყველა სახეობის ავარიულობის გაზრდა, სეისმოაქტიურობისა და სოციუმში დაძაბულობის გაძლიერება.**

**10 – მთვარის ნეპტუნთან და მერკურთან შეერთება**. შესაძლებელია უყურადღებობა, უგუნურობა, „ღრუბლებში ფრენა". შეიძლება შეგვაწუხოს ტკივილებმა ტერფებში, ხელებში. არ არის რეკომენდებული, ხელი მოვკიდოთ საპასუხისმგებლო სამუშაოს, ხელი მოვაწეროთ ხელშეკრულებებს. დრო შეიძლება მივუძღვნათ შემოქმედებასა და ისეთ საქმეებს, რომლებიც არ მოითხოვენ დიდ დაძაბულობას.

**11 – ახალი მთვარე, მთვარე-ვენერას შეერთება**. დაქვეითებულია იმუნიტეტი, ძალები, არის აპათია, მტირალობა. მაგრამ შეიძლება გაგვიჩნდეს ინტუიცია და შემოქმედებითი გაბრწყინება. შესაძლებელია გულის, სისხლძარღვების, ღვიძლის, ყელ-ყურისა და ზედა სასუნთქი გზების დაავადებათა გამწვავება. რეკომენდებულია, ამ დღეს არ დავგეგმოთ ქირურგიული ოპერაციები, ვერიდოთ გაციებასა და უხარისხო პროდუქტებს.

**12 – მთვარე-მარსის შეერთება**. შესაძლებელია ჰიპერტონია, უძილობა. სასარგებლოა ვარჯიშები, ფიზიკური დატვირთვა და გასეირნება. ერიდეთ იმპულსურ და მკვეთრ მოძრაობას, ფრთხილად იყავით ცეცხლთან. იყავით ასევე ტაქტიანი და ყურადღებიანი გარშემომყოფთადმი.



**13 – მთვარე-ურანის შეერთება**. შეიძლება შეინიშნებოდეს შეშფოთება, გაღიზიანება, აღგზნებადობა. უნდა დავიცვათ ძილისა და დასვენების რეჟიმი, უარი ვთქვათ აღმგზნებ სასმელებზე, შოკოლადსა და მოწევაზე. ხელსაყრელია ზომიერი ფიზიკური ვარჯიშები, გასეირნება სუფთა ჰაერზე.

**18 – მთვარე-იუპიტერის შეერთება**. შესაძლებელია სასუნთქი გზების, ღვიძლის დაავადებანი, ოსტეოქონდროზის გამწვავება. სტრესები და გადაღლილობა შეიძლება გახდეს საკვების გადამუშავების დარღვევის მიზეზი. სასარგებლოა წყლის პროცედურები, სუნთქვითი ვარჯიშები, გასეირნება სუფთა ჰაერზე.

**19 – მთვარის პირველი მეოთხედი, აპოგეა**. შესაძლებელია დარღვევები საკვების გადამუშავების სისტემაში, შესიებები. რეკომენდებულია უარი ვთქვათ სპირტიან სასმელებზე, მძიმე და ცხარე საკვებზე, ვერიდოთ გადაციებას. ხელსაყრელი დროა ოჯახის კეთილმოწყობის, საოჯახო ზეიმებისა და დასვენებისთვის.

**27 – სრული მთვარე, დაძაბული მთვარის ასპექტები**. ეიფორია, ემოციური აღგზნება, შესაძლებლობათა გადაფასება. საალბათოა ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, სტენოკარდიის შეტევები, წნევის ამაღლება. შეიძლება გაჩნდეს რადიკულიტი, ტკივილები კუჭში, თირკმელებში. რეკომენდებულია გამოვრიცხოთ ცხარე და მარილიანი საკვები, აგრეთვე, მძიმე ფიზიკური და ემოციური დატვირთვები, დავისვენოთ აქტიურად და გავაჩაღოთ ნაცნობობა.

**29 – მთვარე-სატურნის შეერთება**. შესაძლებელია ოსტეოქონდროზის, ართროზისა და ართრიტის გამწვავება. უნდა ვერიდოთ ტრავმებს, გაციებას, ინფექციებს, უარი ვთქვათ ალკოჰოლზე, ცხარე და ცხიმიან საკვებზე, დიდ ფიზიკურ დატვირთვებზე.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## დაიჯესტი

### „წარმოუდგენელი“ ოპერაცია



**1998 წელს მთავრობამ ოპერაცია „წარმოუდგენლის“ გეგმა განასაიდუმლოა, რომელიც დიდმა ბრიტანეთმა თავად უინსტონ ჩერჩილის პირადი ხელმძღვანელობით შეიმუშავა.**

დოკუმენტების თანახმად, 1945 წლის 1 ივლისს დიდი ბრიტანეთის საჯარისო შენაერთები დრეზდენის რაიონში... წითელი არმიის ნაწილებზე მოულოდნელ შეტევას გეგმავდნენ. ამ მიზნისთვის მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში იყო 47 ინგლისურ-ამერიკული დივიზია. ამ ამბის პიკანტურობა იმაში მდგომარეობს, რომ სსრ კავშირზე შეტევისას იგეგმებოდა... ათი გერმანული დივიზიის გამოყენება (!). ოპერაცია მხოლოდ იმიტომ არ განახორციელდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა მასში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადა.

### თოჯინის მაგივრად – ქმარი

**იუნესკოს ახალი ამბების ცენტრის ცნობით, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ევროპის ბიუროს ექსპერტებმა ადრეული ქორწინებების საკითხი შეისწავლეს, რის თაობაზე ანგარიში გამოაქვეყნეს.**

აღმოჩნდა, რომ ამ მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი რეგიონში საქართველოში, მოლდოვაში, ტაჯიკეთსა და თურქეთშია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სპეციალისტთა ცნობით, 20-დან 24 წლის ასაკამდე გამოკითხულ ქალიშვილთა 19 პროცენტი ამ ქვეყნებში 18 წლის ასაკამდე გათხოვდა. ექსპერტები თვლიან, რომ ადრეულ ქორწინებას შესაძლოა მოზარდი გოგონების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის



გრძელვადიანი ნეგატიური შედეგი მოჰყვეს.

— მათ, ფაქტობრივად, ბავშვობას, განათლების მიღების შესაძლებლობასა და საყვარელი საქმის მოძებნის შანსს ართმევენ. ახალ ოჯახში ქალიშვილები ხშირად ფსიქიკური, ფიზიკური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ხდებიან. 15-დან 19 წლის ასაკამდე გათხოვილი ქალიშვილთა სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზი ადრეული ფეხმძიმობის შედეგად გართულებებია. ახალბედა მეუღლეებს, როგორც წესი, სქესობრივი გზით გადამდები, მათ შორის შიდსისგან თავის დაცვის უნარი არა აქვთ, — მიაჩნიათ ორგანიზაციაში.

ექსპერტები იგივე ტენდენციას ასევე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში აღნიშნავენ.

### რეკორდული აღლუმი



**დედოფალ ელისაბედ II მმართველობის 60 წლისთავის აღსანიშნავად მდინარე ტემზაზე ბრიტანეთის ისტორიაში ყველაზე დიდი აღლუმი გაიმართა — ერთ ადგილზე თავი მოუყარეს ათას ხომალდს! მათგან უძველესი მე-18 საუკუნის დამდეგს იყო აგებული.**

### „ნუ გამოსკდები!“



**როცა საქმე ჭარბი წონის დაკლებას, გახდომას ეხება, ხშირად თანამედროვეობის გამოჩენილ ბალერინას მაია პლისეცკაიას იხსენებენ, რომლის ზედმეტი კილოგრამების „ჩამოყრის“ მთავარი ხერხი იყო „ნუ გამოსკდები!“.**

ვერაფერს ვიტყვით, მართალია მოცეკვავე ქალბატონი! საიმისოდ, რომ გახდეს, კაცმა კი არ უნდა „ხეთქოს“, არამედ უნდა „მიირთვას“. თანაც დღეში ხუთჯერ (საუზმე, გვიანი საუზმე, სადილი, სამხარი და ვახშამი). კალორიებსაც თქვენი ორგანიზმი ამ დროს დახარჯავს იმიტომ, რომ საკვების ახალ ულუფას რომ იღებს, კუჭ-ნაწლავი მუშაობას იწყებს. კუჭ-ნაწლავი კი ესაა რვა მეტრის სიგრძის ნაწლავი, რომლის მუშაობა ბევრ კალორიას წვავს, მაგრამ მთავარი პირობა მაინც ისაა, რომ ერთ ჭამაზე საკვების 200-250 გრამზე მეტი არ უნდა მიიღოთ.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



### რა ბედი ელის სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრს?

სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრი 1979 წელს შეიქმნა აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის თაოსნობით, რაც იმ დროისთვის ნოვაცია იყო არა მარტო საბჭოთა კავშირის მასშტაბით. 2009 წელს გაყიდული ე. წ. ინფექციური საავადმყოფოს ტერიტორიისა და შენობა-ნაგებობების გაყიდვის შემდეგ დაიწყო სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრის თანდათანობით გაუქმება, რის შემდეგაც 208 კვალიფიციური თანამშრომელი, მათ შორის 75 ექიმი, შეიძლება ითქვას, ჰაერშია გამოკიდებული, შესაბამისად გაურკვეველია, რა ბედი ეწევათ სეფსისით დაავადებულ ადამიანებს.

**„ყველა სიახლე“**

### სურსათის ეროვნული სააგენტო ახალ ჯარიმებს აწესებს

სურსათზე კონტროლის მექანიზმი მკაცრდება. ახალი მთავრობის ოფიციალური ბრძანებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებით დაკომპლექტებულმა ჯგუფმა ახალი კოდექსის სამუშაო ვერსია შეიმუშავა, რომელიც პარლამენტს დასამტკიცებლად გადაეგზავნება. როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე თენგიზ კალანდაძე ამბობს, ჯარიმები მკაფიოდ არ გაიზრდება, თუმცა რამდენიმე ახალი საჯარიმო სანქცია ემატება. არ შეიძლება უსაბუთო ხორცის რეალიზაცია, ამაზე 1000-ლარიანი ჯარიმა იქნება. ასევე ჯარიმა წესდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მეწარმე ხელს გვიშლის, არ გვიშვებს ობიექტზე და ჩვენს ინსპექტორებს არ აძლევენ ინფორმაციას, ჯარიმა დაწესდება თუ მეწარმე არ არის დადგენილი წესით რეგისტრირებული და არ აქვს უფლება ბაზარზე ოპერირება მოახდინოს, ასევე ჯარიმა წესდება თუ მეწარმე ბაზარზე მავნებელ პროდუქტს განათავსებს, ამის შესახებ იცის და უკან არ გამოითხოვს, ან გამოითხოვს და ჩვენ არ შეგვატყობინებს.

**„ვერსია“**

### დენის გახშირებულ გათიშვაში ხალხი საბოტაჟის ნიშნებს ხედავს

საქართველოს თითქმის ყველა რაიონში დენის გათიშვა გახშირდა. ელექტროენერგიის სადისტრიბუციო კომპანიები ამ ფაქტს მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს უკავშირებენ. მოსახლეობამ კი გახშირებულ გამოთიშვას პოლიტიკური კუდი გამოაბა, ვინაიდან მათი განცხადებით, არჩევნებამდე დენი ასეთი ინტენსივობით არ ითიშებოდა. ეს ყველაფერი იძლევა იმის ფიქრის საფუძველს, რომ ეს არის საბოტაჟი, რადგან გახშირებული გათიშვის შემთხვევაში ადამიანი უკვე ლანძღავს ენერგეტიკის სამინისტროს და ახალ ხელისუფლებას.

**„რეზონანსი“**

### რუსეთი გივი თარგამაძის გადაცემას მოითხოვს

გივი თარგამაძე კვლავ ყურადღების ცენტრშია. ამჯერად კბილაშვილის სმაილიკი არაფერ შუაშია. „ვასილიჩს“ რუსეთის პროკურატურის სმაილიკი დასტრიალებს ცუდად თავზე.

რუსული მედიის ცნობით, რუსეთის ხელისუფლება უახლოეს მომავალში ქართულ მხარეს დეპუტატ გივი თარგამაძის დაკავების მოთხოვნას გაუგზავნის.

როგორც ცნობილია, გივი თარგამაძე მემარცხენე ფრონტის ლიდერ სერგეი უდალცევთან ერთად რუსეთში მასობრივი არეულობების ორგანიზებაშია ბრალდებული.

**„ახალი თაობა“**

## კადრი



## ანეკდოტები

**ზის** სიძე, ტელევიზორს უყურებს. უცებ ოთახში სიდედრი შემოდის ცოცხით ხელში.

— დედი, გამოსაგველად შემოხვედი თუ სადმე მიფრინავ?

* * *

**პლაკატი** აეროპორტში: „დისპეტჩერო, დაიხსომე! თვითმფრინავი ვერ დაჯდება? — ჩაჯდები შენ!“



**ღამის** სამ საათზე გაცოფებული ტიპი მეზობელს კედელზე უბრახუნებს:

— თუ ახლავე არ შეწყვეტ ტრომბონზე დაკვრას, იცოდე, გავგიჟდები!

— მგონი, უკვე გაგიჟებულხარ კიდეც: ორი საათია, რაც არ ვუკრავ...

* * *

**ძნელია** დინების წინააღმდეგ ცურვა, განსაკუთრებით მაშინ, თუ დინების მიმართულებით ნიანგები მიცურავენ.

* * *

**თუ** ქალი კაჭაა (ფეხმრუდე), ღმა დეკოლტიანი კაბა უნდა ჩაიცვას.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com